ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

1 — 2 ივნისი, 2013

№128 (6129)

ფასი: 30 თეთრი

29 მაისიდან!
„ახალი თაობა“ +
პიკასო
8 ლარი



გელა ნიკოლაიშვილი: „ჟვანიას მკვლელობის საქმე მალე გაიხსნება“

გვ.5

დავით საგანელიძე: „ქუთაისში პარლამენტის შენობა უნებართვოდ აშენდა“

გვ.4

შსს-მ ინტერპოლის მიერ ძებნილი ერდოღანი დააკავა

გვ.2

ბაჩო ახალაიამ ადვოკატებზე უარი თქვა

გვ.3

ეღირსება თუ არა ქუთაისს მერი

გვ.2

ამირან გამყრელიძე: „მწეველთა რაოდენობით ევროპაში ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანა ვართ“

გვ.6

მამა ანთიმოზ ბიჩინაშვილი: „თავს დამნაშავედ არ ვცნობთ“

გვ.3

ივანიშვილს „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა 41 ნომრიანი მაისური აჩუქა

ISSN 1987-9305

გუშინ თბილისში კახი კალაძის გამოსამშვიდობებელი მატჩი გაიმართა. საქართველოს ნაკრების ყოფილი კაპიტნის მეგობრები იტალიურ „მილანს“ დაუპირისპირდნენ. მატჩის დაწყებამდე „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი საქართველოს პრემიერ-მინისტრს ესტუმრა. მან ბიძინა ივანიშვილს „მილანის“ 41 ნომრიანი მაისური აჩუქა.

21 მაისიდან!
„ახალი თაობა“
+
პატრიარქები
8 ლარი

ელირსება თუ არა ქუთაისს მერი

როლანდ ხოჯანაშვილი
,,ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

საქართველოში თითქმის ყველამ გაიგო, რომ ქუთაისის მერის კინაღამ ას კანდიდატურას შორის რჩეულები შეარჩია საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ, მაგრამ საუკეთესოს გამოსავლენად მხოლოდ ერთ ადამიანზე უნდა შეჩერებულიყო არჩევანი საბოლოოდ. ქუთაისი ელოდა, რომ 29 მაისს ახალ მერს ოცნებით თუ არა, ტაშის ტყაპატყუპით მაინც გამოიყვანდნენ ადმინისტრაციულ სარბიელზე, მაგრამ ქუთათურებს „ვერ მიართვეს“.

ქუთაისის მერის თანამდებობა გარდამავალი დროსავითაა. ხან ვინ არის მერი და ხანაც–ვინ. პატარა ხანში ქუთაისელთა შორის არ დარჩება ნამერალიო და აგიხდეთ ყველა კარგი ჩანაფიქრი: ამერიკაში მცხოვრები დიმიტრი კოპალიანი გახდა საკონკურსო კომისიის რჩეული. კომისიის თავმჯდომარე მარგველაშვილი აცხადებს, რომ ხუთ (ოი, ეს ფროიდისტული წამოცდენაა თუ ნაციონალური? იქნებ უბრალოდ დამთხვევაა?!) დღეში საკრებულო ქუთაისის მერს დაამტკიცებსო. მანამდე გამომერებულები, უკაცრავად, მერობისთვის დაწუნებულები, თავიანთ პრეტენზიებს წარმოადგენენ სურვილის შემთხვევაში და ხომ შეიძლება მოხდეს სასწაული, კომისიას აჩვენოს დაწუნებულმა თავისი პერსპექტიულობა და კოპალიანი ჩრდილში დააყენოს?! ნაკლებად მოსალოდნელია, რადგან ამბობენ, რომ კოპალიანი მეოცნებეთა შორის უზენაესმა მოისურვა და აშშ-დან ჩამოიყვანაო.



გადავავლოთ თვალი, ვინ არის დიმიტრი კოპალიანი: ამერიკაში მცხოვრები ქუთაისის მკვიდრი დიმიტრი კოპალიანი ერთ-ერთი წარმატებული ბიზნეს-ადმინისტრატორი და კომპიუტერულ მეცნიერებათა სპეციალისტია. კოპალიანს 1992-2007 წლებში დამთავრებული აქვს ლოურენსისა და მიჩიგანის ტექნოლოგიური უნივერსიტეტები. ის იყო ერთ-ერთი პირველი ქართველი სტუდენტი, რომელმაც ჭ – ის უნივერსიტეტში მიიღო უმაღლესი განათლება. საბაკალავრო ხარისხი კი ქუთაისის აკაკი წერეთლის (ყოფილი ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტი ანუ გეპეი) უნივერსიტეტში, მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის ფაკულტეტზე სწავლისას მიიღო. 2005 წლიდან დღემდე მუშაობს ლოურენსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროფესორად. იგი ასევე არის ნტერპრისე რცჰიტეეცტ– ის საინფორმაციო ტექნოლოგიური სისტემების დეპარტამენტის დირექტორი. 1991 წელს მას დიდ ბრიტანეთში მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირებისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა უმაღლესი ხარისხის დიპლომი. დიმიტრი კოპალიანის პროექტები და პროგრამები დანერგილია აშშ-ს არაერთ Iთ კომპანიაში. ფლობს ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებს. არის 43 წლის, დაოჯახებულია, ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

ქუთაისის ბაღისკიდელები, რომელთა პროგნოზიც ბევრჯერ უფრო უტყუარია, ვიდრე ნაწვიმარზე ამოსული სოკოებივით მომრავლებული ექსპერტების გათვლები, თვლიან, რომ ცამდეც რომ აჰყონ ხელი ,,დაწუნებულმა“ კანდიდატებმა, მაინც მეთერთმეტე მერი ქუთაისში დიმიტრი კოპალიანი იქნება. რიგით მეათე მერი, ბესიკ ბრეგაძე, იმპიჩმენტის წყალობით ჩამოაცილეს იმერეთში ერთ-ერთ ყველაზე სასურველ სავარძელს. როგორც კი ბრეგაძე წავიდა, მაშინვე ალაპარაკდნენ კანდიდატურებზე, თუმცა კოპალიანის პერსპექტიულობას ყველა აღიარებდა. გიორგაძის და სხვა დანარჩენების კანდიდატურები უფრო თითის გასაშვერად ,,ჩატენესო“, თორემ კოპალიანისთანა არცერთი არ გახლავთ, ლაპარაკობდნენ სიცხით შეწუხებული იმერლები.

ამის შემდეგ, კოპალიანის გამერება და საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილება აღარავის გაჰკვირვებია. თანაც, თუ ვინმე აკვირდებოდა, ქუთაისის მერობაზე მაინცდამაინც დიდი ამბავი არ ატეხილა. გულდაწყვეტილები კანდიდატები სახლში წავლენ, კოპალიანი კი მივა მერიაში ხუთიოდე დღეში და ქუთაისის ერთობ მორჩილებით გამორჩეული საკრებულო ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით დაამტკიცებს კიდეც.

როცა თბილისში რაიმე მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილება ხდება, ან ბობოლა ადმინისტრაციულ პირს იაღლიში მოუვა, ქუთაისელი მეანეკდოტეები სასწრაფოდ აცხობენ მწარე მასალისაგან სიმართლესთან მიახლოებულ ამბავს.

ალბათ მკითხველს ემახსოვრება გიგი უგულავას ბოლოდროინდელი სკანდალური ფოტოები, რომელიც ნასვამს (უფრო–მთვრალს) გადაუღია. პირობითი სახელით (ჭიჭიკიათი) მოვიხსენიოთ ერთი მეანეკდოტე და მოვუსმინოთ:

,,გიგი ისეთი მთვრალი ყოფილა, მივარდნილა სარაჯიშვილისეულ სასახლეში (მწერალთა კავშირის შენობა) და ალიაქოთი აუტეხავს: გალაკტიონმა ,,მერი“ მე მომიძღვნაო. უკითხავთ, კი მაგრამ ,,მერის“ დაწერის დროს სად იყავი, რომ დაეწერა შენზეო. გიგის უთქვამს: სად ვიყავი და მამაჩემშიო!“

როცა იუმორის ექსპორტს ჭიჭიკია-ბიჭიკია ქუთაისიდან თბილისში ახრეხბს, სამამულო წარმოების ანეკდოტს თავად ხომ არ მოიკლებენ?! ჭიჭიკიას ნათქვამი გაგამხიარულებთ თუ არა, არ ვიცი, მაგრამ იმერული იუმორი რომ მალე მისწვდება კოპალიანსაც, მჯერა. ბიძინა ივანიშვილის ბოლოდროინდელი განცხადება, წლის განმავლობაში 60 ქარხანა უნდა ამუშავდესო, კოპალიანზე ირიბად მაინც იქნება მიმართული. ქართული ინდუსტრიის ფლაგმანი ქუთაისი დღეს მძიმე დღეშია მძიმე მრეწველობის ჩაკვდომის გამო. ავტოქარხანა, რომელიც თუნდაც ერთჯერადი მანქანათმშენებლობით იყო ცნობილი, კარგა ხანია, მიწასთან გასწორდა. ბოლო ავტომობილი ,,კაზის“ წარმოებაში მგონი ის ჯიპი იყო, შაშიაშვილი რომ უწევდა რეკლამას. ლითოფონის ქარხანა, რომელიც წარმატებულად წამლავდა რიონისპირეთს და სამაგიეროდ, დასაქმებულების ჯიბეებს ავსებდა ,,დერევიანი რუბლებით“, სულამოხდარია. მსუბუქი მრეწველობის დარგებიდან მხოლოდ მსუბუქი დაგვრჩა... ქალებიო, – წაიწუწუნა ისევ ჭიჭიკიამ. რას დარდობს ქალების სიმსუბუქეს ქუთაისელი კოლორიტი, ადვილად ასახსნელია ბოლოდროინდელი ლგბტ აქციის ინტერპრეტაციით: მეორე მსოფლიო ომი რომ იყო, გერმანელები შემოვიდნენ ქუთაისში და მთელი ქუთაისის მოსახლეობა გამოყარეს გარეთ და ქუთაისლების სიძის ბრძანება ჩამოვიდა რაიხსტაგიდან (მოგეხსენებათ, რომ ჰიტლერის ცოლი ქუთაისელი დათეშიძის ქალი იყოო, იტყუებიან უცხვირპიროდ) – ქალები მოკალით და კაცები გასექსეთო (კორექტულობიდან გამომდინარე არ ვწერ იმ სიტყვას, რომელსაც რითმის გამო ამბობენ ზრილი იმერლები, თორემ ჩვენ ზრდილობა არ გვეშლება ნამდვილად). ჟენია გამოვარდა და დაიძახა: კი, მაგრამ ეგ სადაური წესიაო?! ბიჭიკიამ უთხრა: ქალბატონო ჟენია, ნუ ღელავთ, სადაური წესია და აქაურიო!

დავანებოთ თავი ახლა ქუთაისის ინდუსტრიულ პოტენციალსაც თავი და მსუბუქ ყოფაქცევასაც. ის ვიკითხოთ, ,,აიტიშნიკი“ მერი რამდენად გამოადგება ქუთაისს...

მინიონი საქართველოს პოლიტიკურ ძალებს კოაბიტაციის კულტურის განვითარებისკენ მოუწოდებს

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი ჟან კლოდ მინიონი, საქართველოს პოლიტიკურ ძალებს, პოლიტიკური კოაბიტაციის კულტურის განვითარებისკენ მოუწოდებს. საპარლამენტო ასამბლეის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში, მინიონი მიესალმება 2012 წლის ოქტომბერში, საქართველოში ხელისუფლების დემოკრატიულად შეცვლას, რომელიც დამკვირვებლებმა სამართლიანად აღიარეს. საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა, საქართველოს ყველა პოლიტიკურ ძალას მოუწოდა პოლიტიკური კოაბიტაციის კულტურის განვითარება და ურთიერთპატივისცემა გააგრძელონ. ევროპის საბჭოს პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ საქართველოში ვიზიტის დროს, შეხვედრებზე, ქართველ პოლიტიკოსებს, ხელისუფლების ყოფილი წერებისა და ოპოზიციური პარტიის მაღალჩინოსნების დაკავებით გამოწვეული საერთაშორისო საზოგადოების შეშფოთება გააცნო. კერძოდ კი, მინიონის თქმით, იგულისხმება საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის დაკავება. შეგახსენებთ რომ ჟან კლოდ მინიონი საქართველოში ოფიციალური ვიზიტით რამდენიმე დღის წინ იმყოფებოდა.

ნიუსპრესი

საია აღამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში რუსეთის წინააღმდეგ სარჩელს შეიტანს

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ საოკუპაციო ხაზის გადმოწევის გამო ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში რუსეთის წინააღმდეგ შესაძლოა, სარჩელი შეიტანოს. ამის შესახებ საია-ს თავმჯდომარემ კახა კოჟორიძემ არასამთავრობო ორგანიზციებისა და რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილის ქეთევან ციხელაშვილის შეხვედრის დასრულების შემდეგ საოკუპაციო ხაზის გადმოწევის ფაქტის კომენტირებისას განაცხადა. მისი თქმით, საია-ს წარმომადგენლები ვითარებას ადგილზე შეისწავლიან.

„ჩვენ ვგეგმავთ ამ საკითხის შესწავლას და იმ კუთხით ფიქრს, რამდენად პერსპექტივა ექნება ამ საქმეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, რომ შევიტანოთ რუსეთის წინააღმდეგ იმ მოქალაქეების სახელით, რომლებიც საოკუპაციო ხაზის გადმოწევის შედეგად მიწის ნაკვეთს, სახნავს-საძოვარს, სახლს თუ საფლავს დაკარგავენ. გასარკვევია, ამ ადამიანებს საკუთრებაში აქვთ თუ არა დარეგისტრირებული ის ნაკვეთები და ადგილები და თუ არ აქვთ ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფომ უნდა მიიღოს სასწრაფოდ ნორმები, რომ აღირიცხოს სავარაუდოდ, მაინც რა ქონება მოჰყვება საზღვრის გავლების შედეგად იქით მხარეს“, – აცხადებს კოჟორიძე.

პირველი

„ლიტველი ბიზნესმენის დაკავებისას უცხო ქვეყნის მოქალაქის დაკავების ყველა საპროცესო მოთხოვნა დაცული იყო“

პროკურატურის ინფორმაციით, ლიტველი ბიზნესმენის საულიუს ვაიტკევიჩუსის დაკავებისას უცხო ქვეყნის მოქალაქის დაკავების ყველა საპროცესო მოთხოვნა დაცული იყო.

ამის შესახებ პროკურატურის განცხადებაშია აღნიშნული, რომელშიც ბიზნესმენის დაკავების პროცედურულ დეტალებს ეხება.

„მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, საქართველოს პროკურატურა ავრცელებს განცხადებას: ლიტვის მოქალაქე საულიუს ვაიტკევიჩუსი, რომელიც საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულშია ბრალდებული მთავარი პროკურატურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე, 2013 წლის 29 მაისს, საქართველოდან გამგზავრების დროს, დაკავებულ იქნა ქ. თბილისის აეროპორტში.

საულიუს ვაიტკევიჩუსის ფაქტობრივი დაკავება განხორციელდა 2013 წლის 29 მაისს, 05:20 საათზე, რა დროსაც სრულად იქნა დაცული უცხო ქვეყნის მოქალაქის დაკავებისას კანონით დადგენილი უკლებლივ ყველა საპროცესო მოთხოვნა, კერძოდ: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის თანახმად, უცხო სახელმწიფოს მოქალაქის დაკავების თაობაზე 3 საათის განმავლობაში უნდა ეცნობოს მისი ოჯახის რომელიმე წევრს ან ახლობელს, ასევე დაკავების თაობაზე უნდა ეცნობოს საგარეო საქმეთა სამინისტროს.

დაკავებისთანავე, 05:25 საათზე, ბრალდებულს მიეცა წინადადება, დაკავების შესახებ შეეტყობინებინა ოჯახის წევრის ან ახლობელისთვის. საულიუს ვაიტკევიჩუსმა გამოხატა სურვილი, დაკავშირებოდა ახლობელს და დაუყოვნებლივ, საკუთარი მობილური ტელეფონით დაუკავშირდა მისი ინტერესების დამცველ ადვოკატს ირაკლი ყანდაშვილს, რომელსაც განუცხადა მისი აეროპორტში დაკავების თაობაზე და განუმარტა, რომ გადაყვანილ იქნებოდა შსს-ს დროებითი მოთავსების 1 იზოლატორში.

საპროცესო კოდექსის თანახმად, უცხოელის დაკავების თაობაზე შეტყობინება – 29 მაისს 08:10 საათზე ელექტრონულად გაეგზავნა საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტს. დაკავებისას და შსს-ს დროებითი მოთავსების 1 იზოლატორში შესახლებისას, საულიუს ვაიტკევიჩუსი უზრუნველყოფილი იყო თარჯიმნის მომსახურებით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საულიუს ვაიტკევიჩუსს, დროებითი დაკავების იზოლატორში მიყვანისთანავე, მიეცა შესაძლებლობა კიდევ ერთხელ გასაუბრებოდა ახლობლებს (რაც არ არის პროცესის მოთხოვნა) და ბრალდებულის სურვილის შესაბამისად, ამჯერად იგი დაკავების დეტალებზე მეუღლეს ესაუბრა“, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

პირველი

გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ 17 მაისის მოვლენები გარე ძალების პროვოცირებული იყო

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის“ მიერ, მიმდინარე წლის 27 მაისიდან 31 მაისამდე საანალიზო პერიოდში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ 17 მაისის მოვლენები, გარე ძალების მიერ იყო პროვოცირებული.

კითხვაზე – „მიგაჩნიათ თუ არა, რომ 17 მაისის მოვლენები გარე ძალების მიერ იყო პროვოცირებული,“ გამოკითხულთა 76,3 პროცენტმა დადებითად უპასუხა, საწინააღმდეგო მოსაზრება კი 15,8 პროცენტმა დააფიქსირა.

დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა, გამოკითხვაში მონაწილეთა 7,9 პროცენტს გაუჭირდა.

ნიუსპრესი

ტრავენტინს დაცული ტერიტორიების სტატუსი მინიჭებული არ აქვს

ყაზბეგის რაიონში, ერთ-ერთი სამშენებლო კომპანიის მიერ, საავტომობილო გვირაბის სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში, ტრავენტინის დაზიანებასთან დაკავშირებით, გარემოს დაცვის სამინისტრო ინფორმაციას ავრცელებს და აცხადებს, რომ აღნიშნულ ტერიტორიას, დაცული ტერიტორიის სტატუსი მინიჭებული არ ჰქონია.

„გუდაური-კობის გზის მონაკვეთზე საგზაო სამუშაოების დროს ტრავენტინის დაზიანებასთან დაკავშირებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს ბუნების ძეგლს. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინიტროს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო გაცნობებთ, რომ „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად,გუდაური-კობის გზაზე მდებარე ტრავენტინს დაცული ტერიტორიების სტატუსი (ბუნების ძეგლი) მინიჭებული არ აქვს.

სააგენტოს ინფორმაციით, აღნიშნული ტერიტორია არც საქართველოს სსრ წითელი წიგნით იყო დაცული“ – აცხადებენ სამინისტროში.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ, საავტომობილო გვირაბის სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, ერთ-ერთმა სამშენებლო კომპანიამ, ტრავენტინი დააზიანა და მასზე დროებითი საავტომობილო გზა გაიყვანა.

ნიუსპრესი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ბაჩო ახალაიამ ადვოკატებზე უარი თქვა

ნათია ხურცილავა

გუშინ საქალაქო სასამართლოში შინაგან საქმეთა და თავდაცვის ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესი განახლდა. თუმცა, პროცესი ყველასათვის მოულოდნელად განვითარდა. თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ბაჩო ახალაიამ პროტესტის ნიშნად სასამართლო სხდომა დატოვა.

ბაჩო ახალაიამ ასევე უარი განაცხადა ადვოკატის მომსახურებაზე. როგორც ჟურნალისტებს ახალაიას ადვოკატმა განუცხადა, მის ინტერესებს სასამართლო პროცესზე სახაზინო ადვოკატი დაიცავს.

როგორც ჟურნალისტებს ახალაიას ადვოკატმა მალხაზ ველიჯანაშვილმა განუცხადა, ახალაიამ სასამართლო პროცესი მოსამართლე გიორგი დარახველიძის უკანონო გადაწყვეტილებების გამო დატოვა.

შინაგან საქმეთა და თავდაცვის ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას განცხადებით, მისი საქმის განმხილველი მოსამართლე მომავლის შიშით მიუკერძოებელ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს.

ბაჩო ახალაიამ და დაცვის მხარის ადვოკატებმა პროცესი პროტესტის ნიშნად დატოვეს.

– გილოცავთ, ბატონო პროკურორებო, თქვენი პოზიციები მოსამართლის მიერ კიდევ უფრო მყარდება. თქვენ მიზანმიმართულად უზღუდავთ დაცვას უფლებებს. მე მინდა, გითხრათ თქვენ და მთელ საზოგადოებას, რომ საქმე, რომელიც ახლა არის წარმოდგენილი, შეეხება არარსებულს, ეს არის ჩვენი მტკიცე შეფასება. აქ არ არსებობს პირდაპირი უტყუარი მტკიცებულებები. საქმე მთელი თავისი შინაარსით გულისხმობს იმას, რომ მოსამართლემ გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს უპირველეს ყოვლისა, თავისი შინაგანი რწმენის შესაბამისად. მე საფუძვლიანად მეპარება ეჭვი თქვენს შინაგან რწმენაში, მიუკერძოებულობასა და ობიექტურობაში, ამიტომ მე მივიღე გადაწყვეტილება, რომ საერთოდ არ მივიღო ამ პროცესში მონაწილეობა. თქვენ ხართ მიკერძოებული. ზუსტად არ ვიცი, მომავლის თუ რისი შიშით, მაგრამ პროცესის მსვლელობისას თქვენ ვერ იქნებით მიუკერძოებული. არც მე ვიქნები ამ პროცესებზე და არც ჩემი წარმომადგენლები იქნებიან აქ. მე არავის არ ვარიდებ თავს, რადგან სხვა პროცესებიც მაქვს და მათ ჩვეულებრივ დავესწრები, – განაცხადა ახალაიამ.

– წინა სხდომაზე პროკურატურამ ისეთი მოწმე დაკითხა, რომელიც სიაში საერთოდ არ იყო. მოსამართლემ კი ბრალდების მხარეს ამის უფლება მისცა. ეს უდიდესი დარღვევაა. ამასთან, ჩვენ საშუალება არ გვეძლევა შუამდგომლობები დავაყენოთ, მაგალითად, დღეს გვინდოდა, რომ მოსამართლის აცილებაზე შუამდგომლობა დაგვეყენებინა. თავდაპირველად მოსამართლემ ამის საშუალება არ მოგვცა, შემდეგ დავაყენეთ და მას არც უმსჯელია, არც განუხილავს და არც დაგვიკმაყოფილა. ამის შემდეგ ბაჩო ახალაიამ პროტესტის ნიშნად სხდომა დატოვა და განაცხადა, რომ სხვა პროცესებზეც არ ივლის და მხოლოდ დასკვნით სიტყვაზე გამოცხადდება. ასევე ახალაიამ უარი განაცხადა ადვოკატების მომსახურებაზე, რადგან, მისი თქმით, ადვოკატებს დაცვის საშუალება მაინც არ ეძლევათ, – განაცხადა ველიჯანაშვილმა და დასძინა, რომ აღნიშნულ საქმეზე ახალაიას ინტერესებს სახაზინო ადვოკატი დაიცავს, სხვა ბრალდების საქმეზე კი ადვოკატები ახალაიას დაცვას ჩვეულებრივ გააგრძელებენ.

გუშინ საქალაქო სასამართლოზე თავდაცვის სამინისტროში ახალაიას მუშაობის პერიოდში ერთ-ერთ ეპიზოდს განიხილავდნენ. საქმე ეხება სამხედრო მოსამსახურეებისთვის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების, თავისუფლების აღკვეთის ეპიზოდებსა და ზვიად აბესაძესთან დაკავშირებულ ეპიზოდს, როდესაც მას, პროკურატურის ინფორმაციით, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და თავისუფლება აღუკვეთეს.

ბაჩო ახალაიასთან ერთად აღნიშნულ პროცესზე ბრალდებულების გიორგი კალანდაძის, ალექსანდრე გორგაძის, ზურაბ შამათავას, მერაბ კიკაბიძის, მანუჩარ დარასელიასა და გიორგი კინწურაშვილის საქმეები განიხილება, თუმცა მათგან დარასელია და კინწურაშვილი მიმალვაში არიან და, შესაბამისად, პროცესს არ დასწრებიან.

როგორც აღვნიშნეთ, სასამართლო პროცესზე ბაჩო ახალაიამ პროტესტის ნიშნად სასამართლო დარბაზი დატოვა. ამის მიზეზად მან მოსამართლის ტენდენციურობა დაასახელა.

– სხდომებზე სრულყოფილი დაცვის საშუალება არ მეძლევა, – განაცხადა პროცესის მიმდინარეობის დროს ბაჩო ახალაიამ.

სასამართლოს სხდომაზე სიტუაცია მას შემდეგ დაიძაბა, რაც მოსამართლემ არ დააკმაყოფილა ბაჩო ახალაიას ადვოკატთა შუამდგომლობა მოსამართლის აცილების შესახებ. მოსამართლის გადაწყვეტილებით, ბაჩო ახალაიას ამიერიდან სახაზინო ადვოკატი დაიცავს.

– მოსამართლის უკანონო ქმედებები გახდა იმის მიზეზი, რომ ბაჩო ახალაიამ პროცესი პროტესტის ნიშნად დატოვა. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს არ სურს მასკარადში მონაწილეობა, – განუცხადა ჟურნალისტებს საუბრისას ახალაიას ინტერესების დამცველმა მალხაზ ველიჯანაშვილმა.

საქართველოში ნატოს კვირეული გაიმართება

ნათია ხურცილავა

3-10 ივნისს საქართველოში ნატოს კვირეული გაიმართება. საქართველოში ნატოს დღეები უკვე მეექვსედ ტარდება. 2013 წლის ნატოს კვირეულს 3 ივნისს 11 საათზე სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში ალექსი პეტრიაშვილი და ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აპატურაი ოფიციალურად გახსნიან. კვირეულის ფარგლებში საქართველოს ნატოს შტაბბინიდან მაღალი დონის სტუმრები ეწვევიან. კვირეულის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა ღონისძიება. თბილისში 3 ივნისს გაიმართება საერთაშორისო სემინარი „საზოგადოების ინფორმირება ნატოში ინტეგრაციის პროცესის შესახებ“ ნატოს ასპირანტი ქვეყნების (მონტენეგრო, ბოსნია და ჰერცოგოვინა, მაკედონია) მონაწილეობით. ასევე დაგეგმილია შეხვედრები სტუდენტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, სპორტული ღონისძიებები, გამოფენები, სხვადასხვა კონკურსები და დებატები თბილისსა და რეგიონებში. ნატოს კვირეული ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მხარდაჭერით იმართება. კვირეულის მხარდამჭერები ასევე არიან რუმინეთის საელჩო საქართველოში (ნატოს საკონტაქტო საელჩო) და ნატოს სამეკავშირეო ოფისი საქართველოში. ნატოს კვირეული 10 ივნისს „ნატოს ახალგაზრდული სამიტით“ დაიხურება.

მაია ფანჯიკიძე მარიონეტულ რეჟიმს პასუხობს. როგორც საგარეო უწყების ხელმძღვანელი აცხადებს, ასეთი კომენტარი მას არ უკვირს.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე ე.წ საზღვრის გადმოწევასთან დაკავშირებით ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის განცხადებას პასუხობს და აცხადებს, რომ ადმინისტრაციულ საზღვართან მიმდინარე პროცესები ყველანაირი საერთაშორისო ნორმის დარღვევაა.

ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების რიგით 34-ე შეხვედრის დაწყებამდე ოსური მხარის წარმომადგენელმა ხოხ გაგლოითმა განაცხადა, რომ მავთულხლართების გაბმა მიმდინარეობს სამხრეთ-ოსეთის ტერიტორიაზე და ეს საქართველოს არ ეხება.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, მავთულხლართების გაბმა ყველა საერთაშორისო შეთანხმების დარღვევაა, რომელსაც რუსეთს საქართველოს ხელისუფლებასთან ერთად საერთაშორისო თანამეგობრობაც სთხოვს.

– მე ეს განცხადება არ მიკვირს. ასეთი ბევრი მომისმენია. ჩვენი პოზიციაა მთავარი. ჩვენი პოზიცია არის ასეთი, რომ მათი ეს ქმედება არის ყველა საერთაშორისო ნორმის დარღვევა, – განაცხადა მაია ფანჯიკიძემ. 3 ივნისს საქართველოს ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აპატურაი ეწვევა.

აღნიშნული ინფორმაცია საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა. სამინისტროს ცნობით, ვიზიტის მთავარი მიზანია ივნისში ჩრდილოატლანტიკური საბჭოს საქართველოში ვიზიტის მომზადება. აპატურაი შეხვედრებს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებთან გამართავს. ამასთან, ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ნატო-ს კვირეულის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში მიიღებს მონაწილეობას.

ბიძინა ივანიშვილი: „ჩვენ დაკარგულ ტერიტორიებს დავიბრუნებთ“

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ახალი ხელისუფლება დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაზე ზრუნავს.

როგორც ივანიშვილმა ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში აღნიშნა, რუსეთთან ურთიერთობების დალაგების მცდელობის პროცესში, ქართული მხარისთვის სასიკეთო არაფერი ხდება.

„რა დავუთმეთ ჩვენ რუსეთს? არაფერი გვაქვს დასათმობი. არაფრის დათმობას არ ვაპირებთ. არაფერი მიგვიცია. რა მივიღეთ იმ რიტორიკით, რაც იყო? თითქოს ტერიტორიები ჩვენ დავკარგეთ. ამაზე არის ყიჟინა „ნაციონალების“ მხრიდან, რომ ჩვენ რამე გავაჩუქეთ. თავად გააჩუქეს. ჩვენ დაბრუნებაზე ვზრუნავთ და გაჩვენებთ, რომ დავიბრუნებთ. ტყუილად ხართ გაღიზიანებული. ცოტა დაელოდეთ, რამდენიმე წელიწადში ყველაფერს აღვადგენთ და დავიბრუნებთ კიდეც“, – განაცხადა პრემიერმა.

მედიანიუსი

რუსმა ოკუპანტებმა ორი ქართველი დააკავეს

რუსმა ე.წ. მესაზღვრეებმა ოკუპირებულ ტერიტორიასთან ახლოს, გორის რაიონის სოფელ ქვეშში მამა-შვილი დააკავეს. დაკავებულები ავთანდილ და კახა ხადურები არიან.

როგორც ,,მედიანიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ნინო გიორგობიანმა განუცხადა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

,,როგორც კი რაიმე ახალი იქნება, საზოგადოებას შევატყობინებთ“- აცხადებს გიორგობიანი.

ხადურების დაკავება მაშინ მოხდა, როდესაც ისინი საკუთარ ვენახში მუშაობდნენ. ისინი ოსური მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე ჰყავთ.

მედიანიუსი

მამა ანთიმოზ ბიჩინაშვილი: „თავს დამნაშავედ არ ვცნობთ“

ნათია ხურცილავა

17 მაისს რუსთაველის გამზირზე განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ორი სასულიერო პირით, იღუმენ ანთიმოზ ბიჩინაშვილითა და იღუმენ იოთამ ბასილაიათი გამოძიება დაინტერესდა.

უკვე ცნობილია, ინციდენტში მონაწილე ორი სასულიერო პირის საქმეზე წინასასამართლო სხდომა 15 ივლისს გაიმართება. გუშინ საქალაქო სასამართლოში სწორედ აღნიშნულ საკითხზე იმსჯელეს.

სასულიერო პირებთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართულ სხდომაზე ცნობილი გახდა, რომ აღნიშნულ საქმეზე მოსამზადებელი სხდომა 15 ივლისს გაიმართება.

როგორც პროკურორმა გუშინ გამართულ პროცესზე განაცხადა, საქმის შესასწავლად და მოწმეების დასაკითხად ბრალდების მხარეს თვენახევარი სჭირდება. აღნიშნული შუამდგომლობა მოსამართლემ დააკმაყოფილა და წინასასამართლო სხდომა 15 ივლისს, 14:00 საათზე ჩაინიშნა.

როგორც იღუმენმა ანთიმოზ ბიჩინაშვილმა განაცხადა, ის თავს დამნაშავედ არ ცნობს.

– თავს დამნაშავედ არ ვცნობ. ორგანიზატორობას მედავებიან და ორგანიზატორი მე იქ არ ვყოფილვარ. უწმინდესი და უნეტარესი იმ დროს თურქეთში ბრძანდებოდა და ასე სპონტანურად დაიგეგმა. ღვთის ნება იყო ყველაფერი და ორგანიზატორი ალბათ, იესო ქრისტე იყო, – განაცხადა იღუმენმა ანთიმოზ ბიჩინაშვილმა.

17 მაისის მოვლენებში მონაწილე ორ სასულიერო პირს – სამების ტაძრის არქიმანდრიტს, მამა ანთიმოზ (თამაზ) ბიჩინაშვილსა და იოანე და თორნიკე ერისთავის სახელობის დედათა მონასტრის იღუმენს, მამა იოთამ (ირაკლი) ბასილაიას ბრალი შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს მე-VII განყოფილების თანამშრომლებმა 23 მაისს წაუყენეს.

პროკურატურამ სასამართლოს სასულიერო პირებისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მოთხოვნით არ მიმართა.

„გელა ხვედელიძემ სავარაუდოდ ქვეყანა დატოვა“

ჟურნალისტ გიორგი ფარესიშვილის ინფორმაციით, შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილმა პირველმა მოადგილემ გელა ხვედელიძემ საქართველო, სავარაუდოდ, დატოვა.

როგორც ფარესიშვილმა გუშინ „პრესკლუბში მე-17 სართულზე“ განაცხადა, გელა ხვედელიძის მიერ ქვეყნის დატოვების ფაქტს ამყარებს ის , რომ მისი დაკავება არ უნახავს არავის და იგი არც სასამართლოზე ყოფილა.

ფარეისშვილი პროკურატურისგან მოითხოვს გამოაჩინოს გელა ხვედელიძე, რათა დარწმუნდეს, რომ იგი საქართველოშია . მისივე თქმით, მან აღნიშნული ინფორმაცია რამდენიმე წყაროსთან გადაამოწმა, თუმცა წყაროს დასახელებისგან თავი შეიკავა.

„თუ ის აქ არ არის და დადასტურდა ის ინფორმაცია, რომ იგი გაიყვანეს, რა თქმა უნდა თვითონ ვერ დატოვებდა ქვეყანას და ამაში მას ხელშემწყობებიც ეყოლებოდა , მაშინ ყველა ეს პირი უნდა დაისაჯოს, მათ შორის მოსამართლე ზვიად ესებუა , რომელმაც იგი სასაცილო, 5 ათასლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა“,-განაცხადა ფარესიშვილმა.

ფარესიშვილი ეჭვობს, რომ ხვედელიძის ქვეყნიდან გასვლა მთავარი პროკურორის მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილმა უზრუნველყო.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე კვირის წინ ინტერნეტში გავრცელდა პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ვიდეო კადრები, სადაც ერთ-ერთი პირი ჟურნალისტი გიორგი ფარესიშვილია.

ფარესაშვილი კადრების გავრცელებაში შს მინისტრის მოადგილეს გელა ხვედელიძეს, ლაშა ნაცვლიშვილსა და პრემიერის მრჩეველ გია ხუხაშვილს ადანაშაულებს. ბრალდებიდან რამდენიმე დღეში აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით გელა ხვედელიძე დააკავეს, სასამართლოს მიერ შეფარდებული 5 ათასლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა.

მედიანიუსი

დავით საგანელიძე: „ქუთაისში პარლამენტის შენობა უნებართვოდ აშენდა“

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის გაუგებარია, რატომ გადაიტანა მიხეილ სააკაშვილმა პარლამენტი ქუთაისში. გაუგებარი ფორმის შენობა თავიდანვე გახდა ბევრი ხმაურის მიზეზი. მისი აშენებისთვის ასეულობით მილიონი ლარი დაიხარჯა. შენობა კი ჯერაც დაუმთავრებელია.

დეპუტატებს ფაქტიურად დაუმთავრებელ შენობაში უწევთ მუშაობა. წვიმიან ამინდებში აქწყალი ჩამოდის. დროგამოშვებით მილები სკდება და ერთხელ ბიუროს ოთახიც დაიტბორა. ჭერიდან გასანათებელი ხელსაწყოები ცვივა.

წამოგორებული სამლიტრიანი ქილის მსგავსი შენობა ძირითადად შუშით და რკინით არის აშენებული. ჭკვიანმა ხალხმა თავიდანვე თქვა, რომ ზაფხულში ამ შენობაში პაპანაქება სიცხე იქნებოდა. ზაფხული დღეს დაიწყო, ქუთაისის პარლამენტის შენობაში კი 3 დღის წინ 54 გრადუსი დაფიქსირდა. იმ დროს გარეთ ტემპერატურა 28 გრადუსი იყო.

ღაწვებს ნუ დაიხოკავთ დეპუტატების გამო. მათ ორგანიზმს გადახურება არ ემუქრება. 54 გრადუსიანი სიცხე ძირითადად იმ ადგილებში დაფიქსირდა, სადაც კონდენცირება არ ხდება. დეპუტატები კი კონდენციონერის გარეშე არავის დაუტოვებია.

გადახურება არა, მაგრამ ჩვენი კანონმდებლები შესაძლოა გიგანტური კოღოების „მსხვერპლად“ იქცნენ. გავრცელებული ინფორმაციით, პარლამენტის შენობაში კალიებთან ერთად მოზრდილი კოღოები გამოჩნდნენ. ჯერჯერობით არც ერთი დეპუტატი დაკბენილი არ არის.

იმედი ვიქონიოთ, რომ ისინი მომავალშიც გადაურჩებიან კოღოების კბილებს. სამაგიეროდ, შენობის ამშენებლებს ემუქრებათ ცუდი ამბები. გუშინ აუდიტის სამსახურმა ანგარიში გამოაქვეყნა.

აუდიტის ანგარიშის თანახმად, „ქუთაისში პარლამენტის მშენებლობა ნებართვის გარეშე განხორციელდა, პარლამენტის შენობა გასაკუთრებული მნიშვნელობის შენობანაგებობას წარმოადგენს. მისი მშენებლობის ნებართვას ეკონომიკის სამინისტროს სისტემაში შემავალი „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო გასცემს“.

გარდა ამისა, ანგარიშში ვკითხულობთ, რომ არ ჩატარებულა V კლასის შენობანაგებობისთვის განსაზღვრული სავალდებულო საექსპერტო შეფასება შემდეგ საკითხებზე: ფუძეების, საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციების საექსპერტო შეფასება, საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის საექსპერტო შეფასება, დოკუმენტების პროექტების ტექნოლოგიური ნაწილების საექსპერტო შეფასება.

რაც შეეხება ფინანსურ წყაროებს, „პარლამენტის მშენებლობის დაფინანსების წყაროს მთავრობის, პრეზიდენტის განკარგულებით გამოყოფილი თანხები, აღებული სესხები, ქონების გაყიდვით და იჯარიდან მიღებული სახსრები, ასევე, „ნავთობისა და გაზის კორპორაციიდან“ მიღებული სესხი წარმოადგენს.“ ქუთაისში, საქართველოს პარლამენტის სამშენებლო სამუშაოებს შპს „მენო ინტერნეიშენელი“ ახორციელებდა.“

დოკუმენტების თანახმად, პარლამენტის მშენებლობისთვის, მთავრობის განკარგულებებით გაწეულმა ხარჯმა 73, 757, 930 ლარი შეადგინა.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ კაპიტალის გაზრდის მიზნით, სარეზერვო ფონდიდან 209 720 ლარი გამოეყო. გარდა ამისა, „ნავთობისა და გაზის კორპორაციიდან“ 11%-ანი განაკვეთით აღებულია სესხი 15 000 000 აშშ დოლარის და 13 500 000 აშშ დოლარის ოდენობით. კორპორაციამ აღნიშნული სესხი გასცა 2012 წლის 16 მაისს ლონდონის საფონდო ბირჟაზე გამოშვებული 250 00 000 აშშ დოლარის ღირებულების ობლიგაციებით მოზიდული სახსრებიდან.

„სახელმწიფო მომსახურების ბიურომ“ ფინანსთა სამინისტროსგან 2%-იანი განაკვეთით მიიღო 17 697 109 ლარის სესხი.

გარდა ამისა, თანხები მოზიდულია ქონების გაყიდვის შედეგად. კერძოდ, 2012 წლის 31 დეკემბრამდე სულ რეალიზებულია ბიუროს კაპიტალში რიცხული 100,289,082 ლარის ღირებულების ქონება, საიდანაც შემოსავლების სახით მიღებულია 194, 073, 534 ლარი.

პარლამენტის მშენებლობაზე შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურს ევალებოდა. თუმცა, როგორც დასკვნაშია აღნიშნული, სამსახურის მიერ ინსპექტირება მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა.

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის ხელმძღვანელის ზურაბ ტყემალაძის თქმით, პარლამენტის მშენებლობაზე ხარჯები არამიზნობრივად იყო დახარჯული.

– პარლამენტის ხარვეზები ჩვენ თავის დროზე განვიხილეთ ეს, ეს იყო არამიზნობრივი ხარჯვა, უფლებამოსილი პირის მიერ საბიუჯეტო თანხების ხარჯვა, დღესაც დაუდგენელია პროექტი და არ არსებობს პროექტი, ჩაუბარებელია ეს შენობა, სათანადო ნებართვა თავის დროზე არ იყო გაცემული უფლებამოსილი პირის მიერ და ა.შ. ბევრი რამე დადასტურებული იქნება, დარწმუნებული ვარ. დასკვნას არ ვიცნობ, მაგრამ საქმეს ვიცნობ, ამიტომ მინდა გითხრათ, რომ ქუთაისის მერიას აქვს ძალიან დიდი შეცდომა დაშვებული. იმიტომ, რომ გაფორმებული აქვთ ხელშეკრულება სასწაულად, – განაცხადა ტყემალაძემ.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე აუდიტის მიერ მომზადებულ დასკვნას საგანგაშოს უწოდებს.

როგორც ჟურნალისტებს საგანელიძემ განუცხადა, დასკვნის მიხედვით, ქვეყანაში უნებართვოდ აშენდა პარლამენტის შენობა, რომელზეც დაახლოებით 360 მილიონი ლარი დაიხარჯა.

– ეს თანხა ზოგი კრედიტის სახით არის აღებული, ზოგიერთი კი საერთოდ გაუგებარია, საიდან შემოვიდა. რაც ყველაზე მთავარია, ამ შენობაზე ნებართვები საერთოდ არ არის აღებული. პარლამენტის შენობაზე როცა ასეთი რაიმე ხდებოდა, უკვე გასაგებია, რა ხდებოდა სხვა მშენებლობებზე, როგორ ხდებოდა ქვეყნის მართვა და მენეჯმენტი საერთოდ. რა გადაწყვეტილებას მიიღებს პარლამენტი, ვერ გიპასუხებთ, ეს სერიოზული დაფიქრების საგანია და რაღაც გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ, მაგრამ საგანგაშოა ის, რომ პარლამენტის შენობის გვერდზე, მთავრობის შენობაზე დაიდო დასკვნა, რომ შენობა არ არის მყარი და გასამაგრებელი სამუშაოებია ჩასატარებელი ან შეიძლება საერთოდ დემონტაჟი მოხდეს. პარლამენტის შენობაზე ჯერჯერობით ვერ წერენ, რომ ეს არის მდგრადი შენობა, მაგრამ ვერც იმას წერენ, რომ შენობას საფრთხე ემუქრება და გასამაგრებელი სამუშაოებია ჩასატარებელი, – განაცხადა საგანელიძემ.

რუსებმა საზღვარი პერევთანაც გადმოწიეს

რას აპირებს საქართველოს ხელისუფლება

შორენა მარსაგიშვილი

რუსი სამხედროების მიერ ქართულ სოფლებში მავთულხლართების გავლებას დიდი ამბები მოჰყვა. რეინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა თავიდან გვითხრა – 200-300 მეტრის გამო რუსეთთან ომს ვერ დავიწყებთო. ერში ამას დიდი შეშფოთება მოჰყვა. შესაბამისად, ზაქარეიშვილმა ტონი შეცვალა.

ნაციონალებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, თავი გაინერვიულეს. ამტკიცებენ, ჩვენს დროს მსგავსი არაფერი ხდებოდაო. ამ დროს ყველამ ვიცით, რომ მათ დროსაც ხდებოდა ასეთი რამეები.

დვანსა და დიცში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით გუშინ პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითმა კომისიამ იმსჯელა.

მედიისთვის დახურულ შეხვედრას, დეპუტატების გარდა, აღნიშნულ საკითხზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებიც ესწრებოდნენ. გუშინდელ შეხვედრაზე გაირკვა, რომ რუსებს პერევის მიმართულებითაც წამოუწევიათ წინ.

– საკმაოდ რთული მდგომარეობაა. ოკუპაცია გრძელდება. ამას კომპლექსური მიდგომები სჭირდება. ამისთვის საჭიროა ინფრასტრუქტურისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების ჩართვა და გარდა ამისა, საგარეო საქმეთა სამინისტროს უნდა ჰქონდეს კონკრეტული გეგმა, თუ როგორ აღკვეთოს ეს პროცესები. ასევე, საუბარი იყო, არასამთავრობო ორგანიზაციები თავისი გამოცდილებით როგორ იქნას გამოყენებული იმ ხიდების ასაგებად, რომელიც რეალურად არსებობს ყველა ეთნოსს შორის, ქართველებსა და აფხაზებს შორის, ქართველებსა და ოსებს შორის. ვისაუბრეთ ოკუპაციის ხელშემშლელ ფაქტორზე. პერევში, დიცსა და დვანში ერთი და იგივე პროცესი მიდის. ცხადია, ამ ოკუპაციის ხაზის გადმოწევის მცდელობა, მცოცავი ანექსიის მცდელობაა, – განაცხადა „ნეტგაზეთან“ საუბარში საპარლამენტო უმცირესობის წევრმა, დეპუტატმა შოთა მალაშხიამ.

დეპუტატის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კომიტეტი სისტემატიურად განიხილავს ე.წ. კონფლიქტურ სოფლებში არსებულ მდგომარეობას, მათ რეალური შედეგი არ მოჰყოლია.

– უგზოობა, გაზის მილების არარსებობა, სარწყავი სისტემის ნაკლებობა და საძოვრების ნაკლებობა, ეს ის ჩამონათვალია, რომელიც ე.წ. კონფლიქტურ სოფლებში ყველა ოჯახს აწუხებს. მე კომიტეტზე განვაცხადე, რომ ვიდრე საგარეო საქმეთა მინისტრი არ გვეტყვის რეალურად რა ხდება კონფლიქტის რაიონში, ოკუპანტი რუსეთი მავთულხლართებს ამონტაჟებს თუ არა ქართველების კონტროლირებად ტერიტორიაზე და ასევე, ინფრასტრუქტურისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო არ შეიმუშავებს ერთობლივ პროექტს ამ ტერიტორიებზე პრობლემების მოსაგვარებლად, მანამ ეს პრობლემები გადაუწყვეტი დარჩება, – ამბობს მალაშხია.

მალაშხიას ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს კომისიის თავმჯდომარე გია ვოლსკი. მისი თქმით, ნაციონალური მოძრაობა ამ ბრალდებებით პოლიტიკური ქულების დაწერას ცდილობს, რაც არ გამოუვა:

– ნაციონალურმა მოძრაობამ გუშინ პრობლემის გადაჭრის გზები უკვე დაასახელა. პრემიერმა ამ საკითხებზე გუშინწინდელ მთავრობის სხდომაზეც ისაუბრა. ივანიშვილმა საგარეო საქმეთა სამინისტროს, ინფრასტუქტურის, სოფლისა და რეინტეგრაციის სამინისტროებს უკვე დაავალა დროული რეაგირება აღნიშნულთან დაკავშირებით. ასე რომ, მალაშხიას ხელისუფლების მიერ მოგვარებულ პრობლემებზე თავად სურს პოლიტიკური ქულების დაწერა, – ამბობს გია ვოლსკი.

არასამთავრობო ორგანიზაცია „მშვიდობიანი და საქმიანი კავკასიის“ თავმჯდომარის, ალუდა მახარიას მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რუსმა ჯარისკაცებმა, საოკუპაციო საზღვარი 200 მეტრით საჩხერის რაიონის სოფელ პერევშიც გადმოწიეს.

მახარიას ინფორმაციით, რუსმა სამხედროებმა 200 მეტრით ქართული მხარის კონტროლირებადი ტერიტორიის სიღრმეში საგუშაგო გადმოიტანეს და მათი კონტროლირებადი ზონა გააფართოვეს. შემთხვევა სოფელ სინაგურთან მოხდა. სოფელი სინაგური 1991 წლამდე შედიოდა ჯავის რაიონში. ამან გამოიწვია 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ოკუპანტების პრეტენზიები ამ სოფლის მიმართ. ამის გამო სინაგური სოფელ პერევთან ერთად 2 წლის მანძილზე 2008 წლის აგვისტოდან 2010 წლის ოქტომბრამდე ოკუპირებული იყო რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის სამხედრო ძალების მიერ.

საოცნებო ხელისუფლება შექმნილი ვითარების გამოსწორების პირობას იძლევა. გვპირდებიან, რომ იქ დამატებით შეიყვანენ პოლიციის კონტინგენტს. კონფლიქტის ზონაში პოლიციელების შეყვანას დიდ შეცდომად მიიჩნევს „ქართულ-ოსური მისიის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი მარინა კაჟიშვილი.

– ქართულ-ოსური კონფლიქტები, დევნილობა, მიტოვებული მამაპაპეული სახლ-კარი, მიტოვებული წინაპართა საფლავები, მონატრებული ბავშვობის ადგილები და სხვადასხვა ხელისუფლებებისაგან უყურადღებოდ დარჩენილი დევნილები, ეს არის ჩემი ცხოვრების ყველაზე მტკივნეული და მოუშუშებელი იარა... იმ ავბედითი დღიდან, 1990 წლის გვიანი შემოდგომიდან, როცა ქართულმა ხელისუფლებამ გაუთვლელად ქართული პოლიცია დაგვაყენა გამთენიისას ცხინვალელებს „დასახმარებლად“, მას მერე მძიმე 23 წელი გავიდა. მას შემდგომ 23 წელი, დევნილები ყოველ წუთს და ყოველ მოვლენას ვადევნებთ თვალყურს და თითოეული ჩვენთაგანი უკვე პროფესიონალ პოლიტიკოსად იქცა, სხვისგან ჭკუა აღარ დაგვერიგება და უკვე ძალიან კარგად ვარჩევთ, ვინ არის საქართველოს მტერი და ვინ მოკეთე... რაში დასჭირდათ ეს ომები და ძმათა მკვლელი შუღლის გაჩაღება ჩვენს ნათესავებთან ოსებთან, აფხაზებთან ყველა ჩვენთაგანისათვის გასაგებია. ბავშვმაც კი იცის ამ საკითხის არსი. არ აწყობს მავანს შერიგება!!! რუსს, ოსს და აფხაზს რომ არ აწყობდეს შერიგება, მესმის, მაგრამ ყველაზე მტკივნეული ისაა, როცა ისევ შენს ქართველში ხედავ ამას იმის გამო, რომ ფული აკეთოს და ბიზნესი არ ჩაუვარდეს! მე ის ოსი, ის რუსი და ის აფხაზი მირჩევნია, რომელიც მესროდა და თავისი ერის ღირსებას ვაჟკაცურად იცავდა, ვიდრე ჩემი, ფულზე გაყიდული ვაი ქართველი, – აღნიშნავს მარინა კაჟაშვილი.

მისი თქმით, ჯერ იყო და ნახევრად შერიგებულ, 18 წლის ყინულგალღობილ ქართულ-ოსურ ურთიერთობებს 2008 წლის აგვისტოს ომი დაგვაწიეს ნაციონალურმა ხელისუფლებამ, ახლაა და დიცის საკითხი აგვიგორეს და დიდი გულშემატკივრებივით ერთ საათში სოფელ დიცში გაჩნდნენ.

– ეს ჩვენი ბრალია! როცა ქართველი ხალხი აგვისტოს ომის გამოძიებას ითხოვდა, ბევრმა ჩვენთაგანმა თავი შევიკავეთ და უარი ვთქვით ამ ომის გამოძიებაზე, იმიტო კი არა, რომ რაიმე საეჭვოდ გვეჩვენებოდა ამ ომის გამოსაძიებლად, არამედ იმიტო რომ საქართველოს პრეზიდენტი სამჯავრდებო სკამზე არ წარმდგარიყო. მე პირადად უარი ვთქვი აგვისტოს ომის გამოძიებაზე, რომ საქართველოს პრეზიდენტის ტიტულს გავუფრთხილდი, რათა ისტორიის ფურცლებზე შავ ლაქად არ შესულიყო საქართველოც, ქართველი ხალხიც და პრეზიდენტიც! თვარა, 2008 წლის აგვისტო რომ ნაციონალურმა ხელისუფლებამ მოაწყო, ეს ისეთივე აქსიომაა, როგორც 2-ჯერ ორი ოთხი. მე ბედნიერი ვიყავ, როცა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, სოფელ ქურთაში იუსტიციას ვხელმძღვანელობდი და დღეში ასობით ოსი გვაკითხავდა შესარიგებლად და ითხოვდნენ ქართულ პირადობის მოწმობებს, ამის თვითმხილველი მეც და ბევრი სხვაც იყო. ეს დათბობილი ურთიერთობები არ მოეწონათ, როცა ჩვენ, ქართველმა და ოსმა ისევ გამოვძებნეთ გზები ერთმანეთთან თბილი ურთიერთობებისათვის, 2008 წლის აგვისტოს მრისხანე დღეები მოგვიწყვეს.

ახლაც იგივე, როგორც იქნა, დათბა ახლიდან ურთიერთობები და ახლა დიცის და დვანის საკითხი. ღმერთმა არ ქნას და თუ კიდევ ძმათა ომს მოგვახვევენ თავს, უკვე ვიცით, ვისაც უნდა ვესროლოთ! მე გამოვეხმაურები ბატონ ბიძინას, როცა მან განაცხადა, რომ შესაძლებელია პოლიციის დანამატები შეიყვანოს სასაზღვრო ზოლში, ეს იქნება დიდი შეცდომა, – მიაჩნია „ქართულ-ოსური მისიის“ წარმომადგენელს.

მისი თქმით, პოლიციის შეყვანით დაიწყო 1990 წელს კონფლიქტი. კაჟაშვილი შიშობს, რომ ახლაც შესაძლოა იგივე განმეორდეს. ის საგანგებოდ მიმართავს პრემიერს.

– ბატონო ბიძინა, ნუ გავიმეორებთ იგივე გზას, რომელიც ახლიდან გამოუსწორებელ შეცდომებამდე მიგვიყვანს... მე ჯერ კიდევ მარტში გამოვედი სიტყვით ,,ქართულ-ოსური მისიის“ შეხვედრაზე ,,მშვიდობიანი კავკასია - მომავლის საუბრები“ და განვაცხადე, რომ შეიქმნას მონიტორინგის ჯგუფი იმ სამსახურების წევრების წარმომადგენლებით, რომლებიც უშუალოდ კონფლიქტებისა და დევნილების საკითხებზე მუშაობენ, ამასთან ერთად იქნებოდა ევროპის სადამკვირვებლო მისიის წევრები და გააქტიურდებოდა სასაზღვრო დაცვის სამსახური, რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა როგორც ქართველ, ასევე ოს მოქალაქეზე, ამასთანავე ეს ყველაფერი სამმხრივი მოლაპარაკების შედეგი უნდა ყოფილიყო. ჩვენ კი ველოდებით ვიღაცებს, როდის ვიქცევით ერთ პატარა წერტილად საქართველო! გადადგას ხელისუფლებამ ერთხელ ერის სასიკეთო დამოუკიდებელი ნაბიჯი, თუ დამოუკიდებელი და თავისუფალი ქვეყანა ვართ! ამ მოვლენებიდან გამომდინარე ახლა კი აუცილებელ და სავალდებულოდ ვთვლი, რომ მიტევების დრო აღარ არის, რომ ამ მიტევებამ აწყინათ ჩვენს ნაციონალებს და აშკარად გამოჩნდა, რომ მათი საუკეთესო ფარული ურთიერთობა ჰქონდათ რუსეთთან, რომელსაც უბრალო ხალხს გვიმალავდნენ და უბრალო კეთილისმოსურნე, მოსიყვარულე და შემრიგებელ ადამიანებს კი ჯაშუშობის მუხლით ასამართლებდნენ! დღეს, რადგან გაბედეს და ახლიდან დიცისა და დვანის საკითხი შემოგვახვიეს თავს, აუცილებლად და სავალდებულოდ ვთვლი გამოძიებულ იქნას 2008 წლის აგვისტოს ომი და მასში მონაწილე ყველა დამნაშავე გამოვლინდეს! თითოეული ის ასობით და ათასობით თვითმხილველი დევნილი მივიღებთ გამოძიების პროცესში მონაწილეობას, რათა ახალი დიცი, ახალი დვანი და ახალი ომების ტალღამ არ დაგვარტყას ისედაც წელში გატეხილ შინაური მტრებისაგან გაყიდულ საქართველოს! მე კი ერთს დავამატებდი დიდი გულისტკივილით, არაფრის საფასურად რუსულ მხარეს საზღვარი არ უნდა გადმოეწია! მართალია, ვაღიარებ, ქართულმა მხარემ რუსულ მხარესთან მასობრივი მოლაპარაკებები დააგვიანა და ქართულმა მხარემაც ხელი არ შეგვიწყო, ვისაც რაღაცა სიკეთის გაკეთება შეგვეძლო, მაგრამ რუსულ მხარეს მაინც უნდა ოქტომბრამდე დაეცადა. ისე კი, ეს ნაბიჯი უფრო გამოაფხიზლებს ახალ ხელისუფლებას და ქართულ მხარეს, – მიიჩნევს კაჟაშვილი.

ის ახალ ხელისუფლებას მოუწოდებს, რომ მოლაპარაკებების პროცესში ჩართოს „ქართულ-ოსური მისიის“ წარმომადგენლები. მისი თქმით, მისიამ ამ თემაზე უკვე გააგზავნა წერილები სხვადასხვა სამინისტროებში. საიდანაც პასუხი არ მიუღიათ.

– ბატონ ბიძინას მრჩევლებს კი კეთილი სურვილებით ვთხოვ ცოტა გამოფხიზლდნენ და სწორი რჩევები მიაწოდონ ჩვენი ერის მხსნელს, ბატონ პრემიერს და შეცდომებში ნუ შეიყვანთ! 23 წელი იყო ის დიდი დრო, რომელსაც ველოდით და დევნილები რიცხობრივად მივილიეთ, ახლა კი აღარ დავუშვებთ განვლილ შეცდომებს.

და საერთოდ, ყველა ხელისუფლების საყურადღებოდ, ქართულ-ოსურ კონფლიქტურ საკითხებს არა მხოლოდ წარმავალი მთავრობები, არამედ ადგილობრივი კონტინგენტი უნდა წყვეტდეს, რადგან აღნიშნულმა საკითხმა ასე გრძელვადიანი მოუგვარებელი ხასიათი მიიღო. ჩვენ კი ველოდებით ვიღაც-ვიღაცებს და ამასობაში შემოგვადნა ჩვენი სამშობლო ხელისგულზე დაცემული თოვლის ფიფქივით, – მისიის წარმომადგენელი.

გელა ნიკოლაიშვილი: „ჟვანიას მკვლელობის საქმე მალე გაიხსნება“

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილთან

– პატონო გელა, კვლავ წინა პლანზე წამოიწია გარდაცვლილი პოლიციელის საქმემ, როგორც ცნობილია თქვენ შეხვდით ოჯახს ნინო ბურჯანაძის დავალებით და მოდით ამის შესახებ ვისაუბროთ...

– მე როდესაც გავეცანი და შევისწავლე ეს საქმე, ნამდვილად დავრწმუნდი, რომ ეს არის აბსოლუტურად თითიდან გამოწოვილი იმ ადამიანის მიმართ, კონკრეტულად ბიბილურის მიმართ, რომელმაც პასუხი აგო ამისთვის და რომელსაც მსჯავრი დაედო. სწორედ ეს ვუთხარი ქალბატონ ნინოს, როდესაც მან მთხოვა, საქმეს გავცნობოდი. ისიც მითხრა, რომ რამდენჯერმე ჰქონდათ პირდაპირი თუ არაპირდაპირი კონტაქტი გარდაცვლილის ოჯახთან და სურდათ, მათ ადვოკატთან ერთად განგვეხილა ეს საქმე, იმიტომ რომ მათ ინტერესებშიც იყო, გარკვეულიყო, თუ ვინ იყო რეალურად მათი შვილის მკვლელი და მართლაც შედგა ჩვენი შეხვედრა. გარდაცვლილის და ესწრებოდა, მათი ოჯახის ადვოკატი და ჩემ გარდა იყო კიდევ ქალბატონი ნინო, ბაკურ ბაკურაძე და ქალბატონი ნინოს პარტიის ერთი-ორი წევრი. ჩვენ მაშინ ვისაუბრეთ დეტალებზე, რა თქმა უნდა, პროფესიულად, ბუნებრივია, მათი ადვოკატიც კარგად იცნობდა საქმეს. ჩვენ ბევრ რამეზე საერთო აზრიც ჩამოგვიყალიბდა და შევთანხმდით, რომ მომავალში გავაგრძელებდით თანამშრომლობას. შევთავაზეთ ჩვენ, რომ ერთობლივად გამოგვეძიებინა, რადგან ეს საერთო ინტერესი იყო და, რადგან საქმის მასალები არ ადასტურებდა იმ ადამიანის მკვლელობაში მონაწილეობას და ერთობლივად გამოგვეძიებინა, თუ ვინ იყო რეალური დამნაშავე, მოგვეთხოვა რეალური გამოძიება. მათ ეს მოთხოვნა თვითონ ჰქონდათ შეტანილი, ჩვენმა მხარემ არ შეიტანა, უბრალოდ, შევთანხმდით ერთობლივ თანამშრომლობაზე. თუმცა შემდეგ ისინი აღარ გამოგვეხმაურნენ, მიუხედავად იმისა, რომ მე თვითონ ორჯერ დავუკავშირდი ადვოკატს, ბოლოს და ბოლოს, გაირკვა, ადვოკატმა მითხრა, რომ მისი მხარე აღარ იყო დაინტერესებული ამ საკითხით.

– და მიზეზი არ უთქვამთ?

– არა. მე ძალიან გამიკვირდა, მაგრამ ხომ არ დავაძალებდით? ეს იყო და ეს. აქ არის ისეთი მომენტი, რომ ტელევიზიით რასაც აჩვენებენ, რომ ერთმა მანქანამ გადმოაგდო და მეორემ გადაუარა, რეალურად ბრალდებაში ეს საერთოდ არ არის და ის ადამიანი, რომელიც გაასამართლეს, არც ერთ მანქანაში არ იჯდა და ეს თვითონ იქაც არის აღნიშნული. სულ სხვა ადგილას არის, ის არის პუშკინის ქუჩის ჩასახვევთან და ეს ცხედარი პოლიციელებმა დაინახეს თავისუფლების მეტროსთან. დაახლოებით ასი მეტრია დაშორება და ვერაფრით ვერ მოხდებოდა ისე, რომ, ვთქვათ, მანქანას ეთრია იქიდან და გვამი აღმოჩენილიყო თავისუფლების მოედნის მეტროსთან. პუშკინის ქუჩა კი საპირისპირო მხარეს არის და ეს ვერაფრით ვერ მოხერხდებოდა. აი, ეს ისეთი არგუმენტია, რომ ვერავინ ვერაფერს ვერ იტყოდა. არ ვიცი რა მოხდა, უთხრეს იმათ, აღარ მიხვიდეთო, თუ თვითონ მივიდნენ იმ აზრამდე, რომ აღარ ღირდა ამ ყველაფრის გაქექვა... ერთი სიტყვით, შეწყდა ეს კონტაქტები.

– ჩვენ მოვისმინეთ გარდაცვლილი პოლიციელის დედის კომენტარი. ის ნინო ბურჯანაძეს ადანაშაულებს თავისი შვილის სიკვდილში და აცხადებს, ბურჯანაძე ჩემი შვილის სისხლს ვერასდროს ჩამოირეცხავსო. თქვენი აზრით, რა ხდება, ნაციონალებმა წაიქეზეს?

– მე ვფიქრობ, ეს არის ამ დაზარალებული ადამიანებისა და ოჯახების ერთგვარი სენი, ფსიქოლოგიური მომენტი, როდესაც მათ არ უნდათ, თავიანთი გარდაცვლილი ოჯახის წევრის მკვლელად მიჩნეულ და უკვე არაერთხელ გაჟღერებულ პიროვნებაზე აღიარონ, თქვან, არა, ეს ასე არ ყოფილა და ჩვენ შევცდითო. ისინი ფიქრობენ, რომ თუ ის გამართლდა, ვინც მათი შვილის ან ოჯახის წევრის მკვლელად არის მიჩნეული, გამოდის რომ არავინ არ ისჯება მათი შვილის მკვლელობისთვის. აქედან გამომდინარე, იმავე გვირჩიანის საქმესთან დაკავშირებით სწორედ იმავე შემთხვევასთან გვაქვს საქმე და სხვა შემთხვევაც ბევრი ყოფილა ჩემს პრაქტიკაში, რომ დაზარალებულის ოჯახი, მიუხედავად იმისა, რომ

არ არის მათი ოჯახის წევრის მკვლელი, მაინც ჯიუტად ამ პოზიციაზე დგას. მე არ ვიცი, შეიძლება, ეს გამწარებული დედის პოზიციაა, შეიძლება – წაქეზებულიც, მაგრამ მე მაინც ასე გავიგე, რომ ის ზოგადად აცხადებს ამას. აი, მაგალითად, რომ არ მოეწყო ნინო ბურჯანაძეს ეს აქცია, ხომ არ დადგებოდა ეს შედეგი და ამ თვალსაზრისით ადანაშაულებს მას და არა ის, რომ კონკრეტულად მისმა კოლონამ ან რომელიმე მისმა მძღოლმა გადაუარა და გამოიწვია მისი სიკვდილი. მე ვფიქრობ, ეს არასამართლებრივი შეფასებაა, არამედ პოლიტიკური, ადამიანური, რომელიც ფიქრობს, აქცია რომ არ მოეწყო, დღეს მისი შვილი ცოცხალი იქნებოდა და იმას უკვე აღარ აინტერესებს ის დეტალები, რას მოჰყვა ეს, კონკრეტულად ვინ გამოიწვია ამ შედეგის დადგომა.

– 26 მაისს რაც შეეხება, თუ გამოიკვეთება სხვისი ბრალეულობაც და რამდენად ითანამშრომლებს ვანო მერაბიშვილი გამოძიებასთან?

– ეს დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ექნება მერაბიშვილს იმედი თავისი თანაგუნდელების დახმარების, სიტუაციის შეცვლის და თავის დაძვრენის ამ მდგომარეობიდან. სანამ მას ეს იმედები ექნება, ბუნებრივია, არ ითანამშრომლებს და, როდესაც ეს იმედები გადაეწურება, ის წავა თანამშრომლობაზე. დამნაშავეც ძალიან ბევრი გამოიკვეთება, იმიტომ რომ იქ მხეცურად იქცეოდნენ ეს ადამიანები, თვითონ შემსრულებლები. მათ არანაკლები დანაშაული მიუძღვით. ისინი მშვენივრად აცნობიერებდნენ, რომ უკანონო ბრძანებას ასრულებდნენ და მერე მეორეც, ისეთი გამეტებით, გავეშებითა და აღტყინებით ასრულებდნენ ამ ბრძანებას, რომ შეუძლებელია, ამაზე აპელირება გააკეთონ, აბა, ჩვენ რა გვექნა, მაშინ სამსახურებიდან დაგვითხოვდნენ, დაგვიჭერდნენ და ასე შემდეგ. თუმცა, სამწუხაროდ, შეუძლებელია, ამდენ ხალხს, ასეულობით ადამიანს, იმ ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებს მოსთხოვო პასუხი, ასე სათითაოდ დაითვალო, თუმცა მათ ხელმძღვანელებს, რომლებიც ამ ბრძანებებს გასცემდნენ, ასეულის მეთაურებს, ოცეულების და ასე შემდეგ პასუხი აუცილებლად უნდა მოეთხოვოთ. ერთს გეტყვით, მე, პირადად, მითხრა არაერთმა უკვე სამსახურიდან წამოსულმა ადამიანმა, რომ 1200 ლარი პრემიები მიიღეს ამ დარბევაში მონაწილე რიგითებმა, ხოლო უფრო ზემდგომებმა – გაცილებით მეტი. ამ 1200 ლარის დარიგება ასე ბეჯითად შესრულებული სამუშაოსთვის და მისი აღება, როცა იცი, რომ უკანონობას ჩადიხარ, რა თქმა უნდა, დიდი დანაშაულია.

– ბატონო გელა, პოლიციელის გარდა, ამ აქციაზე კიდევ რამდენიმე ადამიანი გარდაიცვალა, ზოგი მათგანი სახურავზე იქნა ნაპოვნი. ამ კონკრეტულ შემთხვევებზე ვის უნდა მოეთხოვოს პასუხი?

– როდესაც ზოგადად მიდის საუბარი, ბრალი მას ედება, ვინც ამ ადამიანების დასჯა ბრძანა, მაგრამ, თუ მოხერხდა და კონკრეტული დამნაშავეც გამოჩნდა, არ გამოვრიცხავ, რომ მიაგნონ კონკრეტულ დამნაშავეს, ყოველ შემთხვევაში, ის ადამიანები მაინც, რომლებმაც შემოაწყვეს მერე ზემდგომების ბრძანებით ეს გვამები სახურავზე. რა თქმა უნდა, მათი დასჯაც აუცილებელი იქნება, მაგრამ, თუ ვერ მოხერხდა კონკრეტული შემსრულებლისა და მკვლელის მოძებნა, მაშინ ასე ზოგადად ხელს ვერავის დავადებთ და შეიძლება, ისევ პოლიტიკურ პასუხისმგებლობად დაეწეროს ისევ ვანო მერაბიშვილსა და ამ გუნდს, რომელმაც ასეთი სისასტკით დასჯის ბრძანება გასცა.

– რამდენად მივა გამოძიება სააკაშვილამდე და თუ დადგება მისი პასუხისმგებლობის საკითხიც?

– მე ვფიქრობ, ეს სავსებით რეალური და შესაძლებელია, ოღონდ, ოქტომბრის შემდეგ, როდესაც სააკაშვილს არანაირი ძალაუფლება აღარ ექნება. თუ გამოძიებამ მოინდომა, დარწმუნებული ვარ, მასალა უამრავი იქნება იმისათვის, რომ სააკაშვილმა თვითონ, პირადად აგოს პასუხი. რამდენად მისცემს დასავლეთი ამის საშუალებას ჩვენს ხელისუფლებას, ეს უკვე მეორე საკითხია და თანაც პოლიტიკური, თორემ სამართლებრივად ძნელი არ იქნება სააკაშვილის პასუხისგების დაყენება და მისთვის მსჯავრის დადება.

– მერაბიშვილზეც საუბრობდნენ, რომ ის მეორე იულია ტიმოშენკო გახდება და ევროპა არ დაუშვებს მის დაპატიმრებას, მაგრამ, როდესაც რეალური ფაქტები დაიდო, ვხედავთ, რომ დასავლეთი ჩუმად არის.

– რა თქმა უნდა, ეს არის საქმე, რომ რეალური და უტყუარი მტკიცებულებები უნდა დაიდოს და, უნდა თუ არ უნდა, დასავლეთიც გაჩუმდება, მეტი რაღა გზა ექნება. მე ყოველთვის ვამბობდი, ჯერ ფაქტები უნდა დაიდოს და მერე დასავლეთს ეს თვალებზე უნდა ააფარონ, თუმცა დასავლეთიც ზოგადი ნათქვამია, რადგან მთელი დასავლეთი ამ რეჟიმს მხარს არ უჭერს. მე არც იმას გამოვრიცხავ, რომ მალე სხვა ძალოვნებიც მიუსხდნენ მერაბიშვილს გვერდით, მოველი, რომ ყველა კონკრეტული დამნაშავე დაისჯება. ვიმეორებ, დასჯა არ ნიშნავს ათეულობით წლით ციხეში ჩასმას, თუნდაც სიმბოლურად გამოცხადება მათი დამნაშავეებად, თუნდაც საპროცესო შეთანხმების გაფორმება მათთან – ეს უკვე დასჯა და პროცესის ძალიან სასურველი განვითარებაა.

– თქვენ რამდენად გჯერათ იმის, რომ კომპრომატები ვანო მერაბიშვილზე გამოძიებას დათა ახალაიამ მიაწოდა?

– რომ ვთქვა, მჯერაო, ეს ძალიან ხმამაღალი ნათქვამი იქნება. მე უფრო ვიტყოდი, რომ არ გამოვრიცხავ ამას, თუმცა ბოლომდე დარწმუნებული არა ვარ. ამაზე ადრეც იყო საუბარი და ამიტომ, არ გამოვრიცხავ, რომ ასე იყოს.

– რამდენად არის შესაძლებელი, ამის გამო ახალაიამ პასუხისმგებლობა აიცილოს თავიდან?

– მე, მაგალითად, ეს სავსებით შესაძლებლად მიმაჩნია, იმიტომ რომ დათა ახალაია ძალიან დიდი ინფორმაციის მატარებელია და ასეთ ფასეულ ინფორმაციას თუ მიაწვდის ის გამოძიებას, მე, პირადად, ორივე ხელით მომხრე ვიქნები, მას შეეფარდოს საპროცესო გარიგება და არ დაისაჯოს, იმიტომ რომ, მაგალითად, ჟვანიას მკვლელობის ან სხვა ბევრი დაფარული საქმე რომ გახსნას მან და, ეჭვიც არ მეპარება, სწორედ ასეთი დონის საქმეებზე მას აქვს ინფორმაცია თავისი გავლენიდან და თანამდებობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელი იქნება, მას ხელშეუხებლობის იმუნიტეტი მიენიჭოს.

– გჯერათ, რომ გაიხსნება ჟვანიას მკვლელობის საქმე?

– იმდენი დრო გავიდა, უკვე მეეჭვება, თუმცა ამის შანსი ნამდვილად არსებობს.

შსს-მ ინტერპოლის მიერ ძებნილი ერდოღანი დააკავა

სარფის სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე, ინტერპოლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, საქართველოს შსს-მ, ვაშინგტონის ინტერპოლის მიერ წითელი ცირკულარით ძებნილი თურქეთის მოქალაქე, 1978 წელს დაბადებული ალპერ ერდოღანი დააკავა.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, აღნიშნული პიროვნება, აშშ-ს სამართალდამცავი ორგანოების მიერ, 2013 წლის 17 აპრილიდან იძებნებოდა აშშ-ს სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის 1349, 1343 და 2, 1030 (ბ), 1030 (ა) (2) და (გ)(2)(ბ)(ი)-(იიი), 1029 (ბ)(2) და 1028 ა (ა)(1) და 2 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის რაც გულისხმობს ელექტრონული საშუალებების მეშვეობით

თაღლითობის დაგეგმვას, ელექტრონული საშუალებების მეშვეობით თაღლითობის ჩადენას, კომპიუტერული თაღლითობის დაგეგმვას, თაღლითობის დაგეგმვას საკრედიტო ბარათის გამოყენებით და საიდენტიფიკაციო მონაცემების

დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ ქურდობას.

2010 წლის მაისიდან 2011 წლის მარტის ჩათვლით, ფლორიდაში, ალპერ ერდოღანმა სხვა პირებთან ერთად შეიმუშავა საერთაშორისო საკრედიტო ბარათების სისტემაში შეღწევის სქემა. აღნიშნულ საქმიანობაში ერდოღანის როლს წარმოადგენდა

საკრედიტო ბარათის ინფორმაციის მოპოვება ფინანსურ კომპიუტერულ სისტემაში შეღწევით ან სხვა პირებისაგან ბარათის ინფორმაციის შესყიდვით ინტერნეტით შემდგომი გაყიდვის წინ. ერდოღანი სხვა პირებს აწვდიდა ინფორმაციას, თუ როგორ გამოეყენებინათ მოპარული ბარათის ინფორმაცია და როგორ დაემზადებინათ ყალბი ბარათები. ანაზღაურებას კი, აზერბაიჯანში გადარიცხული თანხით იღებდა. ათ შემთხვევაში ერდოღანმა, ბარათების მფლობელების ნებართვის გარეშე, ინტერნეტის

მეშვეობით უკანონოდ მოიპოვა საკრედიტო ბარათების კონფიდენციალური ინფორმაცია, ხოლო შვიდ შემთხვევაში ერდოღანმა უკანონოდ მოპოვებული საკრედიტო ბარათების კონფიდენციალური ინფორმაცია გაყიდა ინტერნეტ გზავნილების სისტემით. საერთო ჯამში, ერდოღანმა და მისმა თანამზრახველებმა ათასობით საკრედიტო ბარათის ანგარიშში შეაღწიეს და დაზარალებულებს დაახლოებით 2 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ზარალი მიაყენეს.

ინტერპოლს გააჩნდა ინფორმაცია, რომ აღნიშნული პიროვნება შესაძლოა ყოფილიყო საქართველოს ტერიტორიაზე. აღნიშნულის საფუძველზე აშშ-ს იუსტიციის

სამინისტროს და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შორის გაფორმდა ინდივიდუალური ხელშეკრულება ალპერ ერდოღანის დაკავებისა და ექსტრადიციის თაობაზე.

ნიუსპრესი

მკვლელობისთვის ბრალდებული დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, წარსულში ნასამართლევი, 1983 წელს დაბადებული გი-

ორგი ბ – დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის ბრალდებით, მისი ძმა, 1990 წელს დაბადებული ნიკოლოზ ბ – განზრახ მკვლელობაში თანამონაწილეობის ბრალდებით, ხოლო 1983 წელს დაბადებული დავით ყ. დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გიორგი ბ-მ 28 მაისს, სიღნაღის რაიონის სოფელ ხირსაში, ურთიერთშელაპარაკებისას, 1973 წელს დაბადებული ნუკრი მენთეშაშვილი დანით დაჭრა. დანაშაულის ჩადენისას მას თან ახლდა ნიკოლოზ ბ, რომელიც შემთხვევის ადგილიდან მასთან ერთად მიიმალა.

დაჭრილი ნუკრი მენთეშაშვილი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. მას სხეულზე სამი ჭრილობა აღენიშნებოდა. გარდაცვლილს სამედიცინო ექსპერტიზა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს გურჯაანის განყოფილებაში ჩაუტარდა. გამოძიებამ დაადგინა, რომ ორივე ბრალდებული თავს აფარებდა დავით ყ-ს საცხოვრებელ სახლს. სამართალდამცველებმა სამივე პიროვნება, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, დანაშაულის ჩადენიდან მეორე დღეს, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამრეკლოში, ერთად დააკავეს. გიორგი ბ-ს მიმართ გამოძიება დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ნიკოლოზ ბ-ს მიმართ გამოძიება განზრახ მკვლელობაში თანამონაწილეობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25-108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც 7-დან 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს, ხოლო დავით ყ-ს მიმართ, გამოძიება დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც 2-დან 4 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. გამოძიებას შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველო აწარმოებს.

მედიანიუსი

ზაზა გაბუნია: „ნაციონალურმა მოძრაობამ საზოგადოების საწინააღმდეგოდ მორიგი გადაწყვეტილება მიიღო“

თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის ზაზა გაბუნიას განცხადებით, ნაციონალურმა მოძრაობამ დასუფთავების ტარიფის 2.50 ლარის დადგენით, საზოგადოების საწინააღმდეგოდ მორიგი გადაწყვეტილება მიიღო.

გაბუნია კახა კუკავას იმ განცხადებასაც გამოეხმაურა, რომლითაც კუკავამ აღნიშნა, რომ პარლამენტში „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“ გარიგდა და საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ პასუხისმგებლობა მერიას და საკრებულოს დააკისრა.

„ბატონი კახას განცხადება არის შეუსაბამო რეალობასთან, რადგან საქართველოს პარლამენტში „ქართულმა ოცნებამ“ ქალბატონ ხიდაშელის ინიციატივით გააუქმა ერთიანი ქვითრის მანკიერი პრაქტიკა და გააჩინა საშუალება დაბალი ტარიფის დასადგენად, რაც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ წყალში ჩაყარა, რადგან 2.50 ლარი მაღალი ტარიფია“ – აცხადებს გაბუნია.

მისი აზრით, ახალი უმრავლესობის შექმნის შემთხვევაში, ტარიფის გადახედვა მოხდება.

ნიუსპრესი

ამირან გამყრელიძე: „მწეველთა რაოდენობით ევროპაში ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანა ვართ“

მერი ნამორაძე

ინტერვიუ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელ ამირან გამყრელიძესთან

– ბატონო ამირან, მწეველობის გავრცელების მასშტაბებზე რას გვეტყვით, რამდენად პოპულარულია თამბაქო საქართველოში?

– სამწუხაროდ, ერთ-ერთ მოწინავე ადგილს ვიკავებთ ევროპაში, რაც არ არის თავმოსაწონი. დაახლოებით 30% მოსახლეობისა არის მწეველი. ეს არის 2010 წელს ჩატარებული კვლევის მონაცემები, რომელიც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სტანდარტიზებული კითხვარითა და ევროკავშირის დაფინანსებით ჩატარდა.

– სიმართლე გითხრათ, ეს მონაცემი დაბალი ჩანს სინამდვილესთან შედარებით!

– შესაძლებელია, მეც სკეპტიკურად ვარ განწყობილი, განსაკუთრებით ქალებთან მიმართებით, იმიტომ რომ 30%-ს ვლაპარაკობთ საერთო მოსახლეობასთან დაკავშირებით, მხედველობაში მაქვს მოზრდილი მოსახლეობა. აქედან მამაკაცთა 50-51%-ია მწეველი და ქალების 5%-ს ამბობენ, თუმცა თბილისში 12 პროცენტამდეა. ზოგადი დაკვირვებით, ვფიქრობ, რომ ამ ქცევითი მიდრეკილების მაჩვენებლებმა მოიმატა ქალბატონებში, განსაკუთრებით ახალგაზრდა ქალბატონებში. რაც მთავარია, ტენდენციაა მატებისკენ.

– რა პერსპექტივა აქვს თამბაქოს მოხმარების შემცირებას?

– უნდა იყოს პერსპექტიული, რადგან, თუ ჩვენ პრეტენზია გვაქვს და გვინდა გავხდეთ ცივილიზებული სამყაროს წევრი და ჩვენი პოლიტიკური ორიენტირი ევროკავშირში გაერთიანებაა, ევროკავშირმა ეს მოახერხა და ჩვენც უნდა მოვახერხოთ. მომზადებულ დოკუმენტებში ერთ-ერთი პუნქტი არის ევროკავშირის დირექტივებთან ჰარმონიზაცია. ევროკავშირის ქვეყნებმა მოახერხეს საინფორმაციო, ამკრძალავი ღონისძიებებით, გარკვეული სანქციებით ის, რომ თამბაქოს მიერ გამოწვეული ზიანი მცირდება. ზიანი პირველ რიგში გამოიხატება ისეთი დაავადებების გამო გამოწვეული სიკვდილობის შემცირებაში, სადაც თამბაქო პირველი რისკფაქტორია. ეს არის გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, გულის კუნთის ინფარქტი და თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლა ანუ ინსულტი. ევროპამაც და ჩრდილოეთ ამერიკამაც მოახერხა გარკვეული გარდატეხის შეტანა სიმსივნეებთან მიმართებით, სადაც თამბაქო გახლავთ ასევე პირველი რისკფაქტორი. სამწუხაროდ, არ არის ისეთი დიდი წინსვლა ფილტვის ობსტრუქციულ დაავადებებთან დაკავშირებით. მოგეხსენებათ, იქ ორი წამყვანი დაავადებაა – ასთმა და ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება. ამ თვალსაზრისით სწორედ ფილტვის ქრონიკული დაავადების ზრდა აღინიშნება ყველგან, განსაკუთრებით აზიის ქვეყნებში, ჩინეთსა და ინდოეთში, სადაც თამბაქოს მოხმარება ყველაზე მაღალია. მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, რომ, თუ კარგად შევაჯერებთ დიდ საინფორმაციო, საგანმანათლებლო კამპანიებს, შესაბამისად, ამკრძალავ ღონისძიებებს და საზოგადოებაში ჩამოვაყალიბებთ შეხედულებას, რომ თამბაქო მართლაც ძალიან ცუდი, ჯანმრთელობისთვის ძალიან საზიანო ქცევაა, შედეგიც გვექნება. სასურველია, ახალგაზრდებს ხელი შევუშალოთ, გავუძნელოთ თამბაქოს ხელმისაწვდომობა, ამავე დროს, ავუხსნათ, რომ მათი ჯანმრთელობისთვის ცუდია. ისეთი იდეალისტი არ ვარ, რომ ეს 1-2 წელიწადში შეიძლება მიღწეულ იქნეს. თუ ამაზე იქნება მუდმივი, სერიოზული მსჯელობა და პარალელურად ამკრძალავი ღონისძიებები, შედეგი გვექნება. ზოგიერთი ამკრძალავი ღონისძიება კანონით ახლაც არის, მაგრამ, სამწუხაროდ, არ სრულდება.

– კონკრეტულად რომელი ღონისძიებები არ სრულდება?

– მაგალითად, საჯარო სამსახურებში, სამედიცინო დაწესებულებებში ზოგჯერ არ სრულდება მოთხოვნა, გამოყოფილი იყოს ცალკე ადგილი მწეველთათვის. ყველაზე ცუდი, რაც არ სრულდება, სკოლებში 50 მეტრში არ უნდა იყიდებოდეს თამბაქო. არ შეიძლება, ახალგაზრდებს თამბაქო მიეწოდებოდეთ ღერებით, რესტორნებსა და კაფეებში გამოყოფილი უნდა იყოს ადგილი არანაკლებ 50%-ისა, რომელიც თავისუფალი იქნება თამბაქოსგან.

– საიდან უნდა დაიწყოს საგანმანათლებლო კამპანია, დაწყებითი კლასებიდან?

– ყველგან უნდა დავიწყოთ. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სწორედ სასკოლო პერიოდში აღმზრდელობით-საგანმანათლებლო კამპანიას და ასევე უმაღლეს სასწავლებლებში, იმიტომ რომ უფროსი კლასის მოსწავლეები იწყებენ მოწევას, უფრო გასინჯვის მომენტია. რეგულარულ მოწევას მაინც სტუდენტობის პერიოდში იწყებენ. ამიტომ ეს ორი ფოკუსჯგუფია ძირითადი.

– აკრძალვა, ჯარიმის გაზრდა ყოველთვის ამძაფრებს უარყოფით განწყობას. რას შესთავაზებთ საკომპენსაციოდ მწეველებს, მით უმეტეს მათ, ვისაც დამოკიდებულება ჩამოუყალიბდა?

– გეთანხმებით, მარტო ამკრძალავი ღონისძიებებით, სანქციებითა და ჯარიმებით ვერაფერს მივაღწევთ, თუმცა ეს აუცილებელი კომპონენტია იმ მულტისექტორული გეგმისა, რაც ჩვენ შევიმუშავეთ და მთავრობას წარვუდგინეთ. რა თქმა უნდა, იქ დიდი ნაწილი საგანმანათლებლო და საინფორმაციოა და მასმედიას დიდი როლი აქვს. ამაზე მსჯელობა არ უნდა იყოს მხოლოდ იმ პერიოდში, როცა 31 მაისია – თამბაქოსთან ბრძოლის მსოფლიო დღე. პერმანენტულად უნდა მიდიოდეს. დიდი მნიშვნელობა აქვს რეკლამის აკრძალვას. უცხოური გამოცდილება აჩვენებს, რომ ამან სერიოზული შედეგები მოიტანა. მხედველობაში მაქვს გარე რეკლამა, რომელიც დღეს არ არის ჩვენთან აკრძალული, ისე სატელევიზიო და საინფორმაციო რეკლამა, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს პირად მაგალითს, მშობლების – ოჯახში და დაწესებულების ხელმძღვანელის – სამსახურში. თუ ხელმძღვანელს, როგორც ოჯახში მშობელს, კარგად აქვს გათავისებული ეს საკითხი და არის ეს პირადი მაგალითი, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ კარგი შედეგი მიიღწევა. მაგალითად, ზოგიერთ საერთაშორისო ორგანიზაციას, როცა თქვენ აპლიკაციას აკეთებთ სამსახურზე, კითხვა აქვს, ეწევით თუ არ ეწევით. რა თქმა უნდა, ეს არ არის გადამწყვეტი თქვენს შერჩევაში, მაგრამ თანაბარ პირობებში ამას უკვე ეძლევა მნიშვნელობა. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია არ უკეთებს ადვოკაციას და არც შეიძლება გაუკეთოს და გარკვეულ ანგარიშს უწევს, რომ მისი თანამშრომელთა უმრავლესობა არ ეწეოდეს. ჩვენთან ამ კუთხით რაღაცა წინსვლას ვამჩნევ. ჩვენს სამედიცინო დაწესებულებებში, როცა ახალგაზრდა ექიმი ვიყავი და რესპუბლიკურ საავადმყოფოში ვმუშაობდი 70-80-იან წლებში, მაშინ იქ მოწევა განყოფილებაში თუ საავადმყოფოში ჩვეულებრივი მოვლენა იყო. დღეს საავადმყოფოები იცავენ პირობას, რომ შიგნით არავინ მოწიოს, გარკვეული გამონაკლისები და დარღვევები არის, მაგრამ მაინც არის პროგრესი ამ მხრივ, ისე როგორც ბევრ საჯარო დაწესებულებაში ამის კულტურა ჩამოყალიბდა. ჩვენთან, შენობაში, გამორიცხულია, რომ ვინმემ მოწიოს. თუ მწეველია, ეს მისი უფლებაა, გარეთ გამოყოფილია საამისოდ ადგილი.

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საინფორმაციო კამპანიებს, გათავისებასა და პირად მაგალითს. სასურველია, ტელევიზიებში ნაკლებად იქნას გამოყენებული კადრები, სადაც აჩვენებენ, განსაკუთრებით პოპულარული პიროვნებები რომ ეწევიან. ეს ახალგაზრდობისთვის არის გარკვეული მიდრეკილების ჩამოყალიბების ერთ-ერთი კომპონენტი. ამიტომ ხაზს ვუსვამ, არც მხოლოდ საგანმანათლებლო, არც მხოლოდ სამკურნალო თუ ამკრძალავი ღონისძიებები მოიტანს შედეგს. ეს უნდა იყოს მიმართული ერთობლივად – დიდი საინფორმაციო კამპანია, რომელიც ბარიერს შეუქმნის ახალგაზრდებს მოწევის დაწყებაში, მეორე მხრივ, სამკურნალო ღონისძიებების შეთავაზება დამოკიდებული ადამიანებისადმი. დღეს ბევრი მეთოდია გადაჩვევისა და დიდი როლი აქ ეკუთვნის პირველადი ჯანდაცვის ქსელს. ამ ქსელის ექიმებისთვის საგანგებო ტრენინგი ჩატარდება, თუ როგორი უნდა იყოს მათი დამოკიდებულება მწეველ ავადმყოფთან. ექიმის ყოველთვის სჯერათ და მნიშვნელობა აქვს, რა დროს უთმობს იგი ავადმყოფთან თამბაქოს შესახებ საუბარს. მესამე მიმართულება – ამკრძალავი ღონისძიებები, რაც მსოფლიოშია აპრობირებული, თამბაქოს გაძვირებაც და ხელმისაწვდომობის გაძნელებაც ძალიან აპრობირებული მეთოდია. კარგად იცით, რომ დასავლეთში თამბაქოს კოლოფი ძალიან ძვირია და ბევრი კვლევით არის დადგენილი, რომ რაც ძვირია თამბაქო, ახალგაზრდებისთვის მიუწვდომელია და ისინიც ერიდებიან მოწევის დაწყებას.

– თამბაქოს ინდუსტრია ბიუჯეტისთვის კარგი გადამხდელია. მისთვის პრობლემების შექმნა დააზარალებს ბიუჯეტს?

– თამბაქოს ინდუსტრია დიდი სეგმენტია მსოფლიოში ზოგადად ეკონომიკის, ისევე როგორც ჩვენთან, საქართველოში. მაგრამ ჩვენ, ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებს, ჩვენი შეხედულება გვაქვს ამასთან დაკავშირებით. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ 2003 წელს მიიღო და დაამტკიცა ჩარჩო-კონვენცია თამბაქოსთან დაკავშირებით. ჩვენ შეერთებულნი ვართ ამ კონვენციას. მისი მიღება ძალიან რთული პროცესი იყო, 5-6 წელი მიდიოდა მისი განხილვა. იმ პერიოდში ჯანდაცვის სამინისტროში ვმუშაობდი და ვესწრებოდი ასამბლეას და საქართველოს სახელით ხელი მე მაქვს მოწერილი ჩარჩო კონვენციის მიღებაზე. როგორც გითხარით, 5-6 წელი ის „ბუქსაობდა“, რადგან ძალიან ძლიერი იყო თამბაქოს ინდუსტრიის ლობი. მათ აქვთ ამის შესაძლებლობა, მაგრამ მაშინ მიღებულ იქნა ეს პოლიტიკური გადაწყვეტილება. რა თქმა უნდა, თამბაქოს ინდუსტრიას აქვს თავისი ინტერესები. ჩარჩო კონვენციაში პირდაპირ არის მითითებული, რომ ჩვენ, ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებს ჯანდაცვითი გადაწყვეტილებების მომზადების პროცესში თამბაქოსთან დაკავშირებით არ გვაქვს უფლება, დავეთათბიროთ თამბაქოს ინდუსტრიას. აპრიორად თამბაქოს ინდუსტრია ჩვენთვის ადამიანის ჯანმრთელობისთვის მავნე პროდუქტების მწარმოებელია. ეს მოძრაობა ძალიან ინტენსიურია და ყველაზე მაღალ დონეზე ამჟამად ავსტრალიაშია. ავსტრალია ამ მხრივ სამაგალითოა. ასევე ნორვეგიაში ან შვედეთში თამბაქოს ინდუსტრია ვერ დაიწყებს თამბაქოს წარმოებას, ისეა გაძნელებული პროცედურები. ამიტომ ძირითადად იმპორტზე და განვითარებად ქვეყნებზე არიან ორიენტირებულნი, სადაც, გეთანხმებით, რომ თამბაქოდან შემოსავალი ბიუჯეტის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. სხვა ცივილიზებულმა ქვეყნებმა სპეციალური გადასახადები შემოიტანეს თამბაქოზე, საიდანაც მიღებული ფული ჯანდაცვის სექტორში ბრუნდება. აქციზის დანიშნულებაც დაახლოებით ეს არის, რომ იმ ფულიდან გარკვეული ნაწილი წავიდეს ზიანის კომპენსირებაზე.

რასაც მეკითხებით, ეს საკითხი 90-იან წლებში იდგა აქტიურად. მაშინ საქართველოს ბიუჯეტისთვის თამბაქოს შემოსავალი იყო მარილაც სერიოზული. ქვეყნის ბიუჯეტი იყო მილიარდ სამასი მილიონი და, როცა 300 მილიონი თამბაქოთი შედიოდა, რა თქმა უნდა, მაშინდელ მთავრობას ეს უჭირდა. დღეს, როცა თამბაქოს შემოსავალი საქართველოს ბიუჯეტის 4-5 პროცენტია, ეს აღარ არის ის მაჩვენებელი, რომელსაც ბიუჯეტის ძირითადი ტვირთი ჰკიდია. დღეს არის მომენტი ამ ღონისძიებების უფრო ინტენსიურად განვითარებისა, თუმცა, რა თქმა უნდა, ანგარიშგასაწევია, რომ ეს ინდუსტრია ასაქმებს ადამიანებს, ხელფასს უხდის, მაგრამ, როგორც ჯანმრთელობის ორგანიზაციის წარმომადგენელი, ვერასოდეს შევალ დისკუსიაში ინდუსტრიის წარმომადგენლებთან. მათ აქვთ თავიანთი არგუმენტები, მაგრამ მე მაქვს ძალიან ძლიერი არგუმენტი. საქართველოში ყოველი დაღუპული ადამიანიდან მე-4 ან მე-5 არის თამბაქოთი გამოწვეული ზიანით დაღუპული. მოგეხსენებათ, ფილტვის კიბო წამყვანია დღეს კიბოთი სიკვდილობაში ჩვენთანაც და გლობალურადაც. ფილტვის კიბოს 90% გამოწვეულია თამბაქოს ზიანით. გულ-სისხლძარღვთა დაავადებები არის პირველი მიზეზი სიკვდილობისა ევროპაში და ჩვენთან და ამ დაავადების მთავარი რისკფაქტორი თამბაქოა.

– როგორ ფიქრობთ, ჩვენთან მწეველთა უფლებები უფრო მეტად ირღვევა თუ არამწეველთა?

– რა თქმა უნდა, არამწეველების.

– რატომ?

– როცა შედიხარ რესტორანში და შენ არამწეველი ხარ, ვიღაცამ შეიძლება გაგიბოლოს. პასიური მწეველობა ანუ კვამლის ზემოქმედება ადამიანზე ისეთივე ინტენსივობით აზიანებს ჯანმრთელობას, როგორც პირდაპირი მოწევა.

ახალქალაქში მოქალაქემ იარაღი ნებაყოფლობით ჩააბარა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარ სამმართველოში, ახალქალაქის რაიონის სოფელ ბეჟანოს მაცხოვრებელმა კარენ გ-მ საბრძლო მასალა წარმოადგინა და ნებაყოფლობით ჩააბარა.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ჩაბარებულია 1 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი ,,აკ-ა-ეს-74“-ი, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის 5 მჭიდი, ხიშტ-დანა, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის მაყუჩი, ,,ეფ-1“-ის ტიპის ხელყუმბარა, „აკაეს“-ის სისტემის 1575 საბრძოლო ვაზნა, კარაბინის 82 საბრძოლო ვაზნა, 439 სასწავლო ვაზნა, 2 დეტონატორი და ხელყუმბარის 7 ამფეთქი. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

მედიანიუსი

აშშ რუსეთს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემისკენ მოუწოდებს

ამერიკის შეერთებული შტატები, შიდა ქართლში, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში განვითარებულ მოვლენებს ეხმაურება და იზიარებს საქართველოს შეშფოთებას, ცხინვალის რეგიონში ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლთან რუსი სამხედროების მიერ ღობის აღმართვასა და მავთულხლართების გაბმასთან დაკავშირებით. ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესმდივანმა ჯენ სპაკმა ბრიფინგზე განაცხადა. მისივე თქმით, რუსი სამხედროების ქმედება საერთაშორისო ნორმებსა და 2008 წელს რუსეთთან ცეცხლის შეწყვეტის დადებულ ხელშეკრულებას ეწინააღმდეგება.

„ჩვენ კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ რუსეთს პატივი სცეს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას“-განცხადა ჯენ სპაკმა.

ნიუსპრესი

ირაკლი ღარიბაშვილი ბელგიის შინაგან საქმეთა მინისტრს შეხვდა

ბრიუსელში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ბელგიის შინაგან საქმეთა მინისტრს ჟოელ მილკეს შეხვდა.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრის ფარგლებში, ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები და სამომავლო გეგმები განიხილეს. მხარეებმა ასევე ისაუბრეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული რეფორმებისა და ამ მიმართულებით დაგეგმილი სხვა ღონისძიებების შესახებ.

ვიზების ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელების პროგრესის შესახებ ინფორმაციის გაცვლის მიზნით, მინისტრმა შეხვედრები გამართა ასევე საშინაო საქმეების საკითხებში ევროკომისარ სესილია მალმსტრომსა და გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარ შტეფან ფულესთან.

შეხვედრების ფარგლებში საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული თანამშრომლობის ჩარჩოებით აღებული ვალდებულებების შესრულება და სამომავლო გეგმები განიხილეს. მინისტრმა ასევე აცნობა ევროპელ კოლეგებს, რომ ვიზების ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ ინფორმაციის გაცვლის მიზნით 6-7 ივნისს იგეგმება საერთაშორისო კონფერენციის გამართვა თემაზე – „გზა ევროპული ინტეგრაციისკენ – სამართალდამცავი უწყებების როლი“, რომელზეც აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები არიან მოწვეულნი.

ვიზიტის ფარგლებში მინისტრმა გამართა ორმხრივი შეხვედრები ნატო-ს გენერალური მდივნის პირველ მოადგილესთან, ალექსანდრე ვერშბოუსთან, ნატოს გენერალური მდივნის მოადგილეებთან პოლიტიკურ საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში დირკ ბრენგელმანთან, თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმარების საკითხებში ჰუსეინ დირიოზთან, უსაფრთხოების ახალი გამოწვევების საკითხებში გაბორ იკლოდთან.

შეხვედრების დროს განხილული იყო საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის პროცესში მიღწეული წარმატებები და ამ პროცესში შსს-ს როლი. მინისტრმა ასევე ისაუბრა შინაგან საქმეთა სამინისტროში გატარებული რეფორმებისა და ნატო-სთან თანამშრომლობის მიმართულებით პრიორიტეტულ საკითხებზე.

ვინ ჩამოაშორა საყვარელ საქმიანობას ბიძინა ჩხეიძე?

ეკა ირემაშვილი



რეჟისორი და მსახიობი ბიძინა ჩხეიძე ახალი ფილმის პრემიერისთვის ემზადება. „თეთრი წერტილი“ – ასე ეწოდება ფილმს, რომლის გადაღებებიც და მონტაჟიც უკვე დასრულებულია, ახლა მხოლოდ გახმოვანებაა დარჩენილი და, სავარაუდოდ, ორ თვეში ფილმი პრემიერისთვის მზად იქნება. ფილმში მონაწილეობენ მსახიობები ომარ ცხვარაძე, ქეთი აბულაძე, თამუნა გორგასანიძე, ბიძინა ჩხეიძე, ოთარ მიქელაძე, თემურ ხუციშვილი, ნოდარ ხუციშვილი. ოპერატორი ირაკლი გოგრიჭიანია, მონტაჟი აჩიკო სიჭინავას ეკუთვნის, ხოლო ხმას ირაკლი ფუტკარაძე ჩაწერს. როგორც რეჟისორი ვარაუდობს, მისი ახალი ფილმის პრემიერა შემოდგომაზე გაიმართება.

რა გზა გაიარა ბიძინა ჩხეიძემ სარეჟისორო კარიერაში, რა გავლენა მოახდინა მასზე მამამ, რეზო ჩხეიძემ და რა სიახლეებია მის ცხოვრებაში, ამ თემებზე „ახალი თაობა“ რეჟისორს ესაუბრა.

ბიძინა ჩხეიძე:

– უკვე დავასრულე ახალი სრულმეტრაჟიანი ფილმის „თეთრი წერტილის“ გადაღებები, ორ თვეში პრემიერისთვის მზად იქნება, მონტაჟი ჩემს სახლში გავაკეთეთ ყოველგვარი აპარატურის გარეშე. „თეთრი წერტილი“ ადვილი გადასაღებია, სულ ერთ ადგილას ვითარდება მოვლენები. თეატრალურში ავიღე ოთახი, შევუთანხმდი მსახიობებს და, რომ იტყვიან, ორ აბაზად გადავიღე ფილმი. ალექსანდროვის ბაღში მშრალი აუზია, ჩავიყვანე მსახიობები, მეც ხომ მსახიობი ვარ, მეც ჩავედი, ოპერატორი ზევით დავსვი და ფილმიც გადავიღეთ. ისეთი ფილმია, რაც აქტუალურია და პასუხობს ჩვენს დროს, მასში ბევრი ისეთი რამ არის, რაც კავშირშია ჩვენს სინამდვილესთან, ეს პოლიტიკური ფილმი არ უნდა იყოს, მასში პიროვნებები საუბრობენ თავიანთ თავზე. ერთ-ერთ ფილმს ჰქვია ჩემი სახელი, „ბიძინა“ და ბევრს ჰგონია, რომ აქ რაღაც ანალოგიაა, თუმცა, რა იცით, შეიძლება, კიდეც იყოს. მაქვს მეორე სცენარიც. მას „ფანჯარა სამოთხეში“ ეწოდება. ძალიან მინდა, ისე არ მოვკვდე, რომ ესეც ფილმად არ გადავიღო.

– რა იყო თქვენი პირველი ფილმი?

– ჩემი პირველი სადიპლომო ფილმი იყო „ბენზინის ჩამსხმელი“. ეს ფილმი მოგვითხრობს ერთ სასწაულმოქმედ ბენზინის ჩამსხმელ ბიჭუნაზე. ის ბენზინის მაგივრად მანქანაში წყაროს წყალს ასხამს და მანქანებიც საოცრად ტკბილად და ღუღუნით იწყებენ მუშაობას. რაც მთავარია, დაღლილი, გაბოროტებული მგზავრებიც ტკბილ ხმაზე ამღერდებიან და კეთილი საქმეებისათვის დაიმუხტებიან. სხვა ბენზინის ჩამსხმელები აღშფოთდებიან. მათ უნდათ, კეთილი საქმეები აკეთონ, მაგრამ ეს არ გამოსდით და, როგორც ხდება ხოლმე, დანარჩენი ბენზინის ჩამსხმელები გაბოროტდებიან. წყაროს წყლის გამოყენების საქმე ბენზინის ჩამსხმელი ბიჭუნას მიერ მათ პროკურატურაში გადასცეს, დაიწყო საქმის გამოძიება, შესწავლა, შედეგად კი აღმოჩნდა, რომ ბიჭუნას აეკრძალა ბენზინის გასამართ სადგურზე მუშაობა და წყაროს წყლის ჩასხმა.

–როგორ მიიღო მაყურებელმა თქვენი ფილმი?

– ჩემი ფილმი მიიღეს საკავშირო ეკრანზე მხოლოდ ერთი შენიშვნით – ტიტრებში უნდა დამეწერა შეხსენება მაყურებლისთვის, რომ ეს ნამდვილი ამბავი არ იყო და ეს მხოლოდ იგავი იყო. აი, ასე ზრუნავდა სახელმწიფო თავის რეპუტაციაზე. თუ შემდეგში რამე ასეთს გადავიღებდი და სიმართლის თქმა მომინდებოდა, ისიც იგავის ფორმით უნდა გამეკეთებინა. ამის შემდეგ 5 სხვადასხვა ფილმი გადავიღე: „მეშუქურე“, რომელიც არ მიიღეს, რადგან ძალიან ჰგავდა სიმართლეს, „ბერნარდა ალბას სახლი“, „ბატონი ავანტიურისტები“ (კომედია), „ზმანებები აღლუმებს შორის“, „მჭედელი“, რომელიც შევიდა ალმანახში. ის ჩემი ერთ-ერთი ფილმის სათაურიდან იყო ნაკარნახევი და მას ერქვა „არაჩვეულებრივ რეისი“. ჩემი პირველი ფილმი, ისევე, როგორც პირველი სიყვარული, ყველაზე მეტად გამოხატავს მთელ ჩემს პიროვნებას. პიროვნებამ ალბათ უნდა იცოდეს, საითკენ მიისწრაფვის, თორემ ხშირად ისეც ყოფილა, რომ კარგი საქმისთვის ბევრიც დასჯილა, ეს ისე, სიტყვის მასალად. მამაჩემმა კი თქვა, ფილმი უნდა გადაიღო ისე, რომ ის მთელი შენი ცხოვრების მანიფესტი იყოს.

– ბატონო ბიძინა, როგორია თქვენი სარეჟისორო გზა?

– მამაჩემისგან განსხვავებით, მე დიდი სტაგნაციის ხანა მერგო წილად. არადა, ეს ისეთი წლები იყო, როცა, ჩემი აზრით, უნდა მეკეთებინა ჩემი დიდი საქმეები კინემატოგრაფში. თუმცა დასანანი არაფერი მაქვს, მარჯვენა ხელის მოჭრას გადავრჩი. მოგეხსენებათ, კარგი საქმისთვის კაცს ან მარჯვენა ხელს აჭრიან, ან აჯილდოებენ, რომლითაც საერთოდ მარხავენ კიდეც. საბჭოთა კავშირი სულს ღაფავდა, კინოტექნიკის თვალსაზრისით 30 წლით ჩამორჩებოდა დასავლეთს. მამაჩემმა პოლიტიკურ გვამს, გორბაჩოვს, გაუგზავნა წერილი, სადაც ურჩევდა, გამოეგზავნა სათანადო თანხა, რომლის საშუალებითაც მოხდებოდა ქართული ფილმის ტექნიკური გადაიარაღება, რის შედეგადაც ქართული ფილმი ფორას მისცემდა დასავლეთს. ამის გარდა, მამაჩემმა მას გაუგზავნა თავისი ლენინური პრემია იმის დემონსტრაციისთვის, რომ ლენინი და მისი სახელი ვერ იქნებოდა ჩვენი ქვეყნის იდეალი, რომელსაც ამდენი სისხლი ჰქონდა დაღვრილი. მამაჩემისგან ეს ჭეშმარიტად რომანტიკული შეთავაზება იყო სახელმწიფოს ტყლიპიანი მეთაურისთვის. მიუხედავად იმისა, რომ მისი მმართველობა სულს ღაფავდა, მან არანაკლებად რომანტიკული პასუხი გამოუგზავნა. ის კინოსტუდიის შემდეგ ბედს მთლიანად რესპუბლიკას ანდობდა, ე.ი. დაფინანსებასა და ცენტრალურ ცენზურაზე შემდგომში უარს ამბობდა.

– ამ პასუხის შემდეგ როგორ მოიქცა მამათქვენი?

– მამაჩემი ამ პასუხის შემდეგ კინოსტუდიის ეზოში ეკლესიის მშენებლობას შეუდგა ფილმისთვის წინასწარი გამოყოფილი თანხებით. ვისაც რამდენი შეეძლო, ყველა იღებდა ამ ეკლესიის მშენებლობაში მონაწილეობას. მეც მივიღე ჩემი მცირედი თანხით მონაწილეობა ჩემი ფილმისთვის გამოყოფილი ბიუჯეტიდან, თუმცა ეს საქმე სრულ გულუბრყვილობად მიმაჩნდა. განა არ ჯობდა, გამოსახულების მატარებელი კინოფირის მაგივრად ვიდეოპარატურაზე გადავსულიყავით? კარდინალი რიშელიე ნაწარმოებში „სამი მუშკეტერი“ ცოტა საზიზღარი კაცია, მაგრამ სინამდვილეში საკმაოდ ჭკვიანი და გონიერი ადამიანი ყოფილა. მისი სიტყვებია: „საფრანგეთი და მერე სარწმუნოება!“ ეს დევიზი ჩვენც ხელს მოგვიმართავდა.

–ეს პერიოდი ყველასთვის მძიმე იყო. თქვენ როგორ გადაიტანეთ?

– ჯამაგირი უკვე წლობით იგვიანებდა და ის მხოლოდ ქაღალდზე ირიცხებოდა. ხალხი შიმშილობდა. პურზე კარაქს ვერ წაუსვამდი, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ თავად პურიც აღარ იშოვებოდა. სტუდიის ხელმძღვანელობაც ორ საათამდე მუშაობდა. კინოსტუდია ფართების გაქირავებით ირჩენდა თავს. ყველასათვის დაწესდა რაღაც მინიმუმი. მიუხედავად ამისა, ყოველდღე ახალ-ახალი გარდაცვლილი თანამშრომლის სურათი თავს იწონებდა შესასვლელში სტენდზე თავისი პანაშვიდების თარიღებითა და მისამართებით. კინოსტუდიის სამერქნო ცეხში ჩუმად უსასყიდლოდ თლიდნენ სასახლეებს გარდაცვლილი თანამშრომლებისთვის, კინოსტუდიის დირექცია თანხას იხდიდა პანაშვიდებისა და ქელეხებისთვის. სტუდიის ხელმძღვანელობა ყველანაირად უარს ამბობდა ბიზნესპროექტის წამოწყებაზე. ბევრი ადამიანი ჩვენთან მოდიოდა, გვთავაზობდა იდეებს. ასე რომ, ჩვენს თავში ბევრი ბიზნესპროექტი ჩნდებოდა.

– თქვენ არ წამოიწყეთ ბიზნესი?

– კინოსტუდია თანხმდებოდა მხოლოდ ფართის გაქირავებაზე, მაგრამ, თვითონ რომ რაიმე ბიზნესპროექტში თანხა ჩაედო ან ინიციატორი ყოფილიყო, ამის კატეგორიული წინააღმდეგი იყო. არადა, ჩემი აზრით, იყო კარგი პროექტები, რომლებიც სტუდიის შემოსავალს გაზრდიდა, თუნდაც კინოსტუდიის ტერიტორიაზე სატელევიზიო არხის ამუშავება, მის ტერიტორიაზე მიწათმოქმედების გაშლა, ღია კინოთეატრის მოწყობა, სადაც სკამების მაგივრად მაყურებელი ფილმებს პირდაპირ თავისი მანქანიდან უყურებდა, კინოსტუდიის ტერიტორიაზე საბრძოლო ხელოვნების სანგრების მოწყობა, სადაც გაზის უახლესი ავტომატებით გასროლილი საღებავით გამჟღავნდებოდა, რომელმა მხარემ მოიღო საბრძოლო შერკინება. ყველა მსგავს პროექტს დაფინანსება სჭირდებოდა, ამ პერიოდში კი საქართველოში ორადორი ბიზნესმენი არსებობდა – ბუბუტეიშვილი და თოფაძე. თოფაძეს ჰქონდა ჩამოყალიბებული ბიზნესჯგუფი და მივიტანე ეს პროექტები. მგონი, მოეწონათ კიდეც, თუმცა მიპასუხეს, ჯერ ნაადრევია ამ საქმეში ფულის ჩადებაო. ჩემმა პატარა ჯგუფმა, რომელსაც აინტერესებდა ბიზნესი, გავხსენით სტუდიაში პურის საცხობი, ვიდეოთეკა თავისი ბარით, სადაც ფილმებს ვაჩვენებდით და მერე ის უზარმაზარი ტელევიზორი სახლში უნდა წაგვეღო.

ძველი კინოსტუდიის ეზოში გავიცანი ერთი მეცნიერი, მიკრობიოლოგი ქალბატონი ახალგაზრდა ჭაბუკთან ერთად. მათ სურდათ, ქამა სოკო მოეყვანათ. ამ დროს უკვე მქონდა პურის საცხობი. ჩემი საცხობის მოპირდაპირე მხარეს მოვიძიე მიწისქვეშა გვირაბი. ეს ქალბატონი დაინტერესდა, შეიძლება ამ ადგილას ქამა სოკოს მოყვანა, საჭიროა მიწის შრის ანალიზის დასკვნით გაკეთებაო, მაგრამ პასუხი უარყოფითი მივიღეთ. მაშინ დამებადა აზრი, რომ ამ სივრცეში შეიძლებოდა თეატრის შექმნა. ბუნკერში ჩაკეტილი ჰიტლერი ან კაპიტანი ნემო რიფებში ჩაკეტილი თავისი ნაუტილუსით, პოლიკარპე კაკაბაძის „სამი ასული“, „ბურატინოს თავგადასავალი“ – რამდენი ნაწარმოები შეიძლებოდა დადგმულიყო ამ გვირაბში ყოველგვარი დეკორაციის გარეშე. ეს ნაგებობა 30-იანი წლების დროს იყო მიტოვებული, მისი ასავალ-დასავალი არავინ იცოდა და ლაბორატორია იყენებდა ნარჩენი შხამქიმიკატების ჩასაყრელად. გადავწყვიტე, ამ ქონებას დავპატრონებოდი. პირველ რიგში, ქონება უნდა დამექვემდებარებინა კინოსტუდიისთვის, რომ სიმბოლურ ფასად გადმოეცა ჩემთვის. საოცარ წინააღმდეგობას წავაწყდი, მამაჩემი კატეგორიული წინააღმდეგი იყო. საერთოდ, ის ყოველგვარი ბიზნესის წამოწყების წინააღმდეგია. 5 წელი ვიბრძოლე, ვიშრომე, ბოლოს დავისაკუთრე კიდეც. საჭირო იყო მისი გასუფთავება და მინიმალური რემონტის გაკეთება. ამისთვის იძულებული გავხდი, ბანკში ამეღო ვალი. თავიდან დისკოთეკებს ვატარებდით ამ გვირაბში, მაშინ მოდაში იყო, მაგრამ, ვინაიდან არ მქონდა საჭირო აპარატურა, შემოსავალი საკმარისი არ იყო. ბანკში ვალი დამიგროვდა. იმ პერიოდში შეიცვალა ისევ ხელისუფლება და არ მოიწონა ჩემი საქმიანობა, რატომ იყიდე სიმბოლური ფასით ეს ქონებაო და ბანკის ვალს გადაგიხდით, მაგრამ ეს ქონება უკან დააბრუნეო. საერთო ენა ვერ გამოვნახეთ და იძულებული გავხდი, ეს შენობა დამეთმო ბანკისთვის. კი მითხრეს, სანამ შემოვალთ, შეგიძლია ამუშავოო, მაგრამ გული ამიცრუვდა და თავი დავანებე, რომ ვიცოდი, ჩემი აღარ იყო, იქ მუშაობა არ შემეძლო. საკვირველი ისაა, რომ ამდენი ვიშრომე და დღესაც ის გვირაბი ისევ ისე ნაგვითაა სავსე. როგორც გავიგე, იმ ბანკსაც აღარ ეკუთვნის და სახელმწიფოს ქონების მართვის სააგენტოს ბალანსზეა. პურის საცხობის ბიზნესიც ჩავარდა და დავრჩი ყოველგვარი ბიზნესის გარეშე.

– შეძლებდა კინოსტუდია ბიზნესპროექტებით თავის გატანას?

– ძნელი სათქმელია, ალბათ, შეუძლებელი იქნებოდა. განა არ ჯობდა, დიღომში გადაშლილ ამ კინოსტუდიის მიწაზე, რომელიც, არ ვიცი, რამდენი ჰექტარს შეიცავდა, აქციონერებს მიწა დაგვემუშავებინა, თუგინდ კარტოფილი მოგვეყვანა, ბევრი სიკვდილს გადარჩებოდა იმ გაჭირვებულ პერიოდში, მაგრამ ის, რომ ადამიანმა მიატოვოს თავისი პროფესია და უცებ გლეხად იქცეს, შინაგანად ცოტა წარმოუდგენელი იყო და მართლაც ეს ვერავინ შეძლო.

– მამათქვენი არ ერეოდა ბიზნესში?

– რაც არ აინტერესებდა და რაც არ იცოდა, როგორ უნდა ჩარეულიყო? მარტო ის იცოდა, რომ დირექტორი იყო. ადრე საბჭოთა სინამდვილეში მას დირექტორობას არ ვუქებდი. ის არაჩვეულებრივი რედაქტორი იყო. მაგალითად, შევსწრებივარ ასეთ ფაქტებს: ორი სცენარი აქვს სამხატვრო საბჭოს მისაღები, ერთი სცენარი მოსწონს, მეორე, რბილად რომ ვთქვათ, არ მოსწონს. ამ სხდომაზე, სადაც ეს განიხილება, ბოლო სიტყვას ამბობს სამხატვრო საბჭოს ხელმძღვანელი და ყველაფერს თავდაყირა აყენებს. იქ შემთხვევითი ხალხი არ იყო, ძალიან კარგი პიროვნებები და ნამდვილი ინტელექტუალები იყვნენ და უცებ მათი შეხედულებაც იცვლება და სწორედ ის სცენარი, რომელიც არ მოსწონდათ ერთი წუთის წინ, ხდება საუკეთესო და, რომელიც მოსწონდათ, არის ჩვეულებრივი. სხვათა შორის, ასევე შეეძლო მას ჭკუა შემოეტრიალებინა იმ ხალხისთვის მოსკოვში, ვისაც სცენარი უნდა მიეღო და გადაღების პერიოდში, როცა რამე პრობლემა იყო, ასევე შეეძლო, ჩართულიყო ამ პრობლემაში და დახმარებოდა რეჟისორს. თუ რეჟისორს არ გამოსდიოდა გადაღება, ყურში ისეთ რამეს ჩასჩურჩულებდა, რომ გასაგები ხდებოდა რეჟისორისთვის, როგორ უნდა ეწარმოებინა გადაღებები.

ზვიადის ხელისუფლებამ მამაჩემი გაათავისუფლა დირექტორობიდან, შევარდნაძის ხელისუფლებამ კი ზარ-ზეიმით ისევ აღადგინა, მაგრამ, სამწუხაროდ, სტუდიას ფინანსები ძალიან შეუმცირდა და შეეზღუდა. ისევ ცუდ მდგომარეობაში აღმოვჩნდით. შევარდნაძის ხელისუფლებამ კინოსტუდიას გადმოსცა მთელი საქართველოს კინოთეატრები მის საკუთრებაში. ეს, ჩემი აზრით, სრულიად გაუაზრებელი ნაბიჯი იყო. ეს იგივეა, მდედრობითი და მამრობითი სქესი ერთ ორგანიზმში რომ მოათავსო. კინოთეატრის მნიშვნელობა ის არის, რომ მან შეიძინოს ფილმი რაც შეიძლება იაფად და კინოსტუდიის ამოცანა ის უნდა ყოფილიყო, რომ რაც შეიძლება ძვირად გაეყიდა ფილმი. ასე რომ, მათი ერთად ყოფნა შეუსაბამობაში მოდიოდა. ასეთი რამ კი იმ პერიოდში ყოველ ნაბიჯზე იყო. კინოსტუდიამ საბოლოოდ მიიღო გადაწყვეტილება, კინოთეატრები გაეყინა, დაეკონსერვებინა და მას დაარქვა ათწლიანი მორატორიუმი. ამ პერიოდში კინოთეატრებს ვერავინ იყიდდა. მგონია, რომ ეს არ იყო სწორი ნაბიჯი, თუ იმის ეშინოდათ, რომ კინოთეატრი დაკარგავდა თავის პროფილს, მაგაზე ადვილი რა იყო, მიეცათ ეს კინოთეატრები რეჟისორებისთვის თუნდაც სიმბოლურ ფასად ან ნაკლები ქირით და ისინი კინოთეატრებს აამუშავებდნენ, პროფილსაც არ დაუკარგავდნენ და თვითონაც გადარჩებოდნენ სიკვდილს. ამ ათი წლის მანძილზე კი კინოთეატრები საერთოდ გაიძარცვა და საქართველო აღმოჩნდა სულ რამდენიმე კინოთეატრის ამარა, თან ისიც შემთხვევით. მამაჩემი ყოველთვის იბრძოდა იმისთვის, რომ შეენარჩუნებინა ეს ყველაფერი, მაგრამ, რაც უფრო იბრძოდა, რაც უფრო ყინავდა და მორატორიუმებს აცხადებდა, უარეს შედეგს ვიღებდით. ამ პერიოდში ჩატარდა აქციონერთა არჩევნები და მან თავისი თავი ისევ აირჩია კინოსტუდიის ხელმძღვანელად. მეც კი, მისი შვილი, ამის სასტიკი წინააღმდეგი ვიყავი, რადგან ეს კარგისკენ გადადგმული ნაბიჯი არ იყო. სხვებსაც უნდოდათ დირექტორობა.

– დაუპირისპირდით ამის გამო მამას?

– ჩუმად გრძნობდა, რომ სხვანაირად ვფიქრობდი და ყველა საკითხში სხვა მოსაზრება მქონდა. ადრე სულ მუშაობა იყო, მერე კი უცებ არაფერი აღარ დარჩა, კაპიკი აღარ ჰქონდა კინოსტუდიას. ეს მამაჩემისთვის საკმაოდ რთული იყო. მას არ უნდოდა, ამაზე ეფიქრა და ბოლომდე სჯეროდა, რომ ყველაფერი გამოვიდოდა. ის ელოდა, სახელმწიფო დადგება ფეხზე და მოგვხედავსო, მაგრამ სახელმწიფო ყოველთვის იცილებდა ამ პრობლემას თავიდან, რადგან მას თავისი საზრუნავი ჰქონდა. ახალ რეალობაში, დაულაგებელ სიტუაციაში მისი სახელი და თანამდებობა ისეთი მასშტაბების იყო, რომ ქმნიდა თავის რეალობას, სადაც ჩვენ, წიწილები, ვეღარ ვპასუხობდით ჩვენს ინტერესებს, ვეღარ ვპოულობდით ჩვენს გამოხატვას. ამის გამო ბევრმა მოინდომა კინოცენტრის შექმნა. საბოლოოდ მოხდა მთავარი – ის გახდა მთავრობის რუპორი და მთლიანად პოლიტიზებული. სამწუხაროდ, კინოცენტრმა დაკარგა თავისი მნიშვნელობა, თვითონ გახდა სახელმწიფო რუპორი და აღმოჩნდა ცალკეული პიროვნებების ხელში.

კომპიუტერებზე ბეჭდვა რომ შემოვიდა, ყველა რეჟისორს გვინდოდა გვესწავლა, მაგრამ რთულად გვესახებოდა. კინოსტუდიამ მოიძია თანხები, გააგზავნა მბეჭდავები, რომ კომპიუტერული ბეჭდვა ესწავლათ. მათ კი ისწავლეს ბეჭდვა, მაგრამ არც ერთი აღარ დაბრუნდა სტუდიაში, ყველა უფრო მაღალანაზღაურებად სამსახურში წავიდა. თუნდაც ფილმების საცავის ამბავი ავიღოთ: ყველა რეჟისორს გადაეცა თავისი გადაღებული ფილმი პირად საკუთრებაში. ეს, ერთი შეხედვით, ძალიან კარგია, მაგრამ ის რეჟისორი თვითონ თავისი ორი-სამი-ოთხი ფილმით თავს ვერ შეინახავდა, თუმცა, რომ არ გადასცემოდათ რეჟისორებს, ფილმსაცავს გაექირავებინა და თანხა ამოეღო, მაშინ ფილმსაცავიც იფუნქციონირებდა, გადარჩებოდა, სპეციალური ტემპერატურაც იქნებოდა, ეს ფილმებიც გადარჩებოდნენ და ის ადამიანიც გადარჩებოდა, ვისაც იქ უნდა ემუშავა. საბოლოოდ ეს საცავი განადგურდა და მთლიანად მოისპო. თითქოს ყველა მთავრობა შეთანხმებულად ისეთ ნაბიჯებს დგამდა, რომ სულ უკან და უკან მიდიოდა ჩვენი საქმე. ის წლები, როდესაც მაქსიმალურად უნდა მემუშავა და შემოქმედებითად დავხარჯულიყავი, გავიარე სტაგნაციის პერიოდში და მოლოდინის რეჟიმში. ახლა კი უკვე 60 წლის ვარ და მოცილებული ვარ იმ საქმიანობას, რომლისთვისაც ვარ მოწოდებული.

როცა აკეთებ თეატრს სხვენზე, ადამიანები პატარები ჩანან, თითქოს ვიღაცის სხეულზე დაღოღავენ და სათანადოდ პიესასაც ასეთ ირჩევ. როდესაც მუშაობ და აკეთებ სცენას სარდაფის თეატრში, გრძნობ, რომ ცივილიზაციას მოწყვეტილი ხარ, ჯურღმულში ჩაიკეტე და შენი სულის ისეთ სიმებს ამღერებ, რასაც სხვენზე ან ჩვეულებრივ თეატრში ვერ გააკეთებდი.

– ახლა რა ხდება კინოსტუდიაში?

– ამჟამად კინოსტუდიაში მცველები არიან, რომლებიც იცავენ შენობას და იქ არსებულ ინვენტარს. რეჟისორები იქ არ არიან. კინოსტუდიამ დაკარგა თავისი პოლიტიკური ცენზი და ახლა უთავო ფაბრიკასავითაა. ფილმი რომ ჩაუშვა წარმოებაში, ეს უკვე ეროვნული კინოცენტრის პრეროგატივაა, რომელიც გასაჯაროვებას არ ახდენს. ვინ არიან საკონკურსო კომისიაში, არ ჩანს. ისინი მხოლოდ განიხილავენ და ქულებს წერენ. როცა ადამიანები ერთმანეთს არ უყურებენ თვალებში და ცხოველური ფსიქოლოგიით მუშაობენ, მაშინ ისინი რობოტებს ემსგავსებიან. ოთხჯერ შევიტანე პროექტი და ოთხჯერვე აღმოვჩნდი პირველი, ოღონდ ბოლოში, მაგრამ ჩემზე წინ იდგნენ ისეთი რეჟისორები, როგორებიც არიან გიორგი შენგელაია, საშა რეხვიაშვილი. ასე რომ, შეიძლება, ეს ყველაფერი გადმობრუნებულია და, ვინც ბოლოშია, ის არის საუკეთესო. ამ შემთხვევაში კი არ შევიზღუდე, პირიქით, ძალები მომემატა და ფილმიც გადავიღე.

10 ყველაზე მდიდარი ჩოგბურთელი

10. ედინ როდიკი
20.637.390 დოლარი
2000 – 2012
32 ერთეულთა თანრიგის ტიტული, 1 „დიდი სლემის“ ტიტული
4 წყვილთა თანრიგის ტიტული
ის ცნობილია თავისი გონებამახვილობით, მან საკუთარ თავს ჩოგბურთის ისტორიაში საუკეთესო „ცუდი“ ჩოგბურთელი უწოდა. კარიერის დასრულების შემდეგ მის ანგარიშზე 3 ათეული ტიტული იყო, მრავალრიცხოვანი რეკორდი სწრაფ ჩაწოდებაში და უკანასკნელი ამერიკელი, რომელმაც „დიდი სლემის“ ტიტული მოიპოვა.

9. ივან ლენდლი
21.262.417 დოლარი
1978 – 1994
94 ერთეულთა თანრიგის ტიტული, 8 „დიდი სლემის“ ტიტული
6 წყვილთა თანრიგის ტიტული
ენდი მარეის მწვრთნელი ივან ლენდლი თანამედროვე ჩოგბურთის ერთ-ერთ მთავარ ძალად მიიჩნევა. მან 19-ჯერ ითამაშა „დიდი სლემის“ ფინალში და 8-ჯერ შეძლო მისი მოპოვება. ის ერთადერთი ჩოგბურთელია, რომელიც 14 წლის განმავლობაში ერთ ტიტულს მაინც იგებდა.

8. ევგენი კაფელნიკოვი
23.883.797 დოლარი
1992 – 2003
26 ერთეულთა თანრიგის ტიტული, 2 „დიდი სლემის“ ტიტული
27 წყვილთა თანრიგის ტიტული
ევგენი კაფელნიკოვი ყველაზე ტიტულოვანი რუსი ჩოგბურთელია. მან „დიდი სლემი“, ოლიმპიადა, დევისის თასი მოიგო და მსოფლიოს პირველი ჩოგანი იყო. ის ერთდაერთი ჩოგბურთელია, რომელსაც მოგებული აქვს „დიდი სლემის“ 2 ტურნირი და არც ერთი „მასტერსი“ არ მოუგია.



7. ბორის ბეკერი
25.080.956 დოლარი
1984 – 1999
49 ერთეულთა თანრიგის ტიტული, 6 „დიდი სლემის“ ტიტული
15 წყვილთა თანრიგის ტიტული
ბორის ბეკერი ჩოგბურთის ისტორიაში პირველია, რომელმაც 17 წლის ასაკში „უიმბლდონი“ მოიგო. გარდა ამისა, მის აქტივში არის რეკორდიც, გერმანელი 19 წლის ასაკში მსოფლიოს პირველი ჩოგანი გახდა.

6. ენდი მარეი
27.088.700 დოლარი
2005 – დღემდე
26 ერთეულთა თანრიგის ტიტული, 1 „დიდი სლემის“ ტიტული
2 წყვილთა თანრიგის ტიტული
ენდი მარეის გასულ წელს „საუკეთესო „დიდი სლემის“ გარეშეს“ უწოდებდნენ, ახლა კი მას „ერთი სლემის“ სასწაულს“ უწოდებენ. მარეი ერთადერთი ჩოგბურთელია, რომელმაც ერთ წელში ოლიმპიადა და ამერიკის ღია პირველობა მოიგო.

5. ანდრე აგასი
31.152.975 დოლარი
1986 – 2006
60 ერთეულთა თანრიგის ტიტული, 8 „დიდი სლემის“ ტიტული
1 წყვილთა თანრიგის ტიტული
ანდრე აგასი არის პირველი ჩოგბურთელი, რომელმაც „ოქროს სლემი“ მოიგო და ყველაზე ასაკოვანი ჩაუდგა რეიტინგს სათავეში. აგასის ანგარიშზეა არაოფიციალური „სუპერ სლემი“, ოლიმპიადა, ყველა „დიდი სლემის“ და შემაჯამებელი ტურნირის ტიტული.

4. პიტ სამპრასი
43.280.489 დოლარი
1988 – 2002
64 ერთეულთა თანრიგის ტიტული, 14 „დიდი სლემის“ ტიტული
2 წყვილთა თანრიგის ტიტული
პიტ სამპრასმა ზედიზედ 6-ჯერ დაასრულა სეზონი რეიტინგის სათავეში, რაც რეკორდული მაჩვენებელია. მან ზედიზედ 8-ჯერ მოიგო „დიდი სლემის“ ფინალი. ასევე ის გახდა უკანასკნელი ამერიკელი, რომელმაც „უიმბლდონის“ ტურნირი და შემაჯამებელი ტურნირიც მოიგო.

3. ნოვაკ ჯოკოვიჩი
49.608.865 დოლარი
2003 – დღემდე
37 ერთეულთა თანრიგის ტიტული, 6 „დიდი სლემის“ ტიტული
1 წყვილთა თანრიგის ტიტული
მსოფლიოს პირველი ჩოგანი ნოვაკ ჯოკოვიჩი ჩოგბურთელი, რომელსაც მრავალი რეკორდი აქვს დამყარებული, ერთადერთი მოთამაშეა, რომელიც ზედიზედ მესამედ იგებს ავსტრალიის ღია პირველობას და ასევე პირველია, რომელსაც აქტივში „მასტერსის“ 8 სხვადასხვა ტიტული აქვს ჩაწერილი.

2. რაფაელ ნადალი
51.804.494 დოლარი
2001 – დღემდე
53 ერთეულთა თანრიგის ტიტული, 11 „დიდი სლემის“ ტიტული
8 წყვილთა თანრიგის ტიტული
„გრუნტის მეფე“ რაფაელ ნადალი – ერთადერთი მოთამაშეა ჩოგბურთის ისტორიაში, რომელიც 7-ჯერ გახდა „როლან გაროს“ მფლობელი, ერთადერთი მოთამაშეა მოქმედ ჩოგბურთელთა შორის, რომელსაც „ოქროს სლემი“ აქვს მოპოვებული, ასევე ის „გრუნტის თასის“ 81-მატჩიანი წაუგებელი სერიის ავტორია.

1. როჯერ ფედერერი
76.779.184 დოლარი
1998 – დღემდე
76 ერთეულთა თანრიგის ტიტული, 17 „დიდი სლემის“ ტიტული
8 წყვილთა თანრიგის ტიტული
ყველა შესაძლო ტიტულის მფლობელი, როჯერ ფედერერი რეკორდსმენია „დიდი სლემის“ ტიტულების რაოდენობის და მსოფლიო რეიტინგის ლიდერია. კარიერის „სლემის“ მფლობელი, ყველაზე ტიტულოვანი და მდიდარი ჩოგბურთელია მოქმედ ჩოგბურთელთა შორის.

მსოფლიოს 20 საუკეთესო თინეიჯერი

არიან ისეთი ფეხბურთელები, როგორებიც ლუკას მოურა, სტეფან ელ შაარავი და პოლ პოგბა არიან და რომლებსაც უკვე შეუსრულდათ 20 წელი, დიდ ფეხბურთში დიდ წარმატებას მიაღწიეს. ახლა გვინდა ახალ თაობაზე გესაუბროთ, რომლებიც ძალიან ნიჭიერები და ამომავალი ვარსკვლავები არიან. წარმოგიდგენთ ახალგაზრდა ტალანტების ტოპ-20-ს.

20. ადრიანი.

კლუბი: „ფლამენგო“. ასაკი: 18 წლის. პოზიცია: შემტევი ნახევარმცველი

ოცეულს ბრაზილიელით ვიწყებთ, ფეხბურთელით, რომლის სახელი რამდენი წელია სკაუტებს პირზე აკერიათ, მსოფლიოს ყველა კუთხეში უკვე.

ადრიანი – მოხერხებული, შემტევი ნახევარმცველი, რომელიც ბრაზილიის ნაკრების მომავალ ვარსკვლავად განიხილება.

რამდენიმე კვირის წინ, 18 წლის ახალგაზრდამ „ფლამენგოსთან“ ახალი კონტრაქტი გააფორმა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ბრაზილიაში ხარისხს ყურადღებას აქცევენ.

19. ლაზარ მარკოვიჩი.

კლუბი: „პარტიზანი“. ასაკი: 19 წლის. პოზიცია: თავდამსხმელი.

მსოფლიოში ცნობილი სერბი ფეხბურთელები თითზე ჩამოსათვლელნი არიან. მათ შორის კი ლაზარ მარკოვიჩია. ფორვარდი პირველივე დღიდან ბელგრადელების ძირითად შემადგენლობაში ასპარეზობს.

19 წლის ლაზარმა უკვე 6-ჯერ ითამაშა ეროვნულ ნაკრებში და 1 გოლიც გაიტანა.

თებერვალში მარკოვიჩი „ჩელსიში“ ტრანსფერთან ახლოს იყო, მაგრამ ეს ჭორები თავადვე უარყო ადგილობრივ გაზეთთან ინტერვიუში.

18. მატეო კოვაჩიჩი.

კლუბი: „ინტერი“. ასაკი: 18 წლის. პოზიცია: ცენტრალური ნახევარმცველი.

იანვარში განხორციელებული მოულოდნელი ტრანსფერი კოვაჩიჩის ზაგრების „დინამოდან“ „ინტერში“ 11 მილიონ ევროდ ბევრი ექსპერტისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა.

ხორვატი ნახევარმცველი უკვე დიდი ხანია ითვლება მომავალში „დიდებულ“ ფეხბურთელად. სტრამაჩონიმ ის ასე შეაფასა:

– ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელია, რომელსაც მოედნის ცენტრში და ყველა პოზიციაზე შეუძლია ითამაშოს.

17. იურგენ ლოკადია.

კლუბი: პსვ. ასაკი: 19 წელი. პოზიცია: თავდამსხმელი.

ცოტას თუ აქვს უნარი სწრაფი და ძლიერი დარტყმის, როგორიც ახალგაზრდა ფორვარდს იურგენ ლოკადიას.

ჰოლანდიელმა მიმდინარე სეზონში უკვე 16 მატჩი ჩაატარა და 9 გოლი გაიტანა. ერედივიზიონში სადებიუტო შეხვედრაში 11 წუთში ჰეთთრიკი გაიფორმა.

16. ლეანდრო პარედესი.

კლუბი: „ბოკა ხუნიორსი“. ასაკი: 18 წლის. პოზიცია: შემტევი ნახევარმცველი.

დროის საკითხია, როდესაც ლეანდრო პარედესს არაერთი ევროპული ტოპ-კლუბი მიიწვევს თავისთან სათამაშოდ.

18 წლის ტალანტმა „ბოკაში“ დაამტკიცა, რომ შესანიშნავად ფლობს ბურთს.

15. ოლივერ ტორესი.

კლუბი: „ატლეტიკო“. ასაკი: 18 წლის. პოზიცია: ცენტრალური ნახევარმცველი.

სუპერ ნიჭიერი ოლივერ ტორესი ჯერ კიდევ „ატლეტიკოს“ მეორე შემადგენლობაში ასპარეზობს, მაგრამ ეს დროის საკითხია.

ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელი ძალიან ტექნიკურია, მოედნის საოცარი ხედვა აქვს და გრძელი პასი იცის.

14. ლუკას პიაზონი.

კლუბი: „მალაგა“ (არენდით „ჩელსიდან“). ასაკი: 19 წლის. პოზიცია: თავდამსხმელი.

„მალაგაში“ სეზონის ბოლომდე იჯარით გადასვლამ ფეხბურთელს შესაძლებლობა მისცა, როგორც ფეხბურთელი განვითარებულიყო.

პიაზონიმ სახელი ბრაზილიის 17-წლამდე ნაკრებში ასპარეზობისას გაითქვა, სადაც 9 გოლის გატანა მოახერხა.

13. ლუკას დინი.

კლუბი: „ლილი“. ასაკი: 19 წლის. პოზიცია: მარცხენა მცველი.

არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“ აქტიურადაა დაინტერესებული ფეხბურთელის გადაბირებით.

19 წლის მცველი შესანიშნავ ფიზიკურ ფორმაშია და წინ წასვლაც უყვარს, რათა თავისი გუნდის წამოწყებულ შეტევაში მიიღოს აქტიური მონაწილეობა.

12. ჟერარ დეულოფეუ.

კლუბი: „ბარსელონა“. ასაკი: 19 წლის. პოზიცია: მარცხენა გარემარბი.

ჟერარ დეულოფეუ „ბარსელონას“ ახალგაზრდული გუნდის ერთ-ერთი ვარსკვლავია, გამორჩეულია თავისი ელვისებური სისწრაფით.

19 წლის ფეხბურთელს შეუძლია თანაბარი ძალით ითამაშოს, როგორც ფლანგზე, ასევე მეორე ფორვარდადაც. ამ პოზიციაზე მან არაერთი გოლის გატანაც მოახერხა.

11. კურტ ზუმა.

კლუბი: „სენტ ეტიენი“. ასაკი: 18 წლის, პოზიცია: ცენტრალური მცველი.

კურტი „სენტ ეტიენის“ ძირითადი მოთამაშეა, რომელიც ლიგა 1-ში ბოლო დროს სატურნირო ცხრილში მოწინავე პოზიციებზე დგას და ევროსაგზურიც მოიპოვა.

18 წლის ცენტრალური მცველი კარგ ფიზიკურ ფორმაშია და ძალიან ტექნიკურია, რომელიც ყველა ასაკის საფრანგეთის ნაკრების წევრიც გახლდათ.

10. მ'ბაიე ნიანგი.

კლუბი: „მილანი“. ასაკი: 18 წლის. პოზიცია: თავდამსხმელი.

18 წლის ფენომენი „მილანში“ და სერია ა-ში ერთ-ერთი ვარსკვლავია.

მას გამორჩეულ გარეგნობასთან ერთად, ბურთის ფლობის გამორჩეული უნარი აქვს, რის გამოც შეტევის მარჯვენა ფლანგი ალეგრომ მას მიაბარა.

მას ჯერ კიდევ არ უჩვენებია შედეგი, მაგრამ ის, რომ უდიდესი ტალანტია, ეჭვი არავის ეპარება.

9. პაულო დიბალა.

კლუბი: „პალერმო“. ასაკი: 19 წლის. პოზიცია: თავდამსხმელი.

მიუხედავად „პალერმოს“ არც თუ ისე წარმატებული ასპარეზობისა, დიბალას ტალანტი მაინც შესამჩნევია.

არგენტინელი გამორჩეულად ნიჭიერია. რომ არაფერი ვთქვათ აზროვნებაზე, ეფექტურ დრიბლინგებსა თუ ოსტატურ გადაწყვეტილებებზე.

8. რახიმ სტერლინგი.

კლუბი: „ლივერპული“. ასაკი: 18 წლის. პოზიცია: მარჯვენა გარემარბი.

როდესაც რახიმ სტერლინგმა „ლივერპულში“ პირველი მატჩი ჩაატარა, ჯერ კიდევ 17 წლის იყო და ჩანდა, რომ მზად არ იყო პრემიერლიგაში ეთამაშა.

მაგრამ მან გასაოცარი პროგრესი განიცადა, მიუხედავად ბარძაყის ტრავმისა, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანი ფიგურა იყო „ლივერპულის“ შემადგენლობაში.

ინგლისის ნაკრების ფეხბურთელს კარგი ტემპის, ოსტატობისა და შეტევის სასურველად დასრულების უნარი გააჩნია.

7. იულიან დრექსლერი.

კლუბი: „შალკე“. ასაკი: 19 წლის. პოზიცია: შემტევი ნახევარმცველი.

იულიან დრექსლერი – სახელი, რომელიც ბოლო დროს ყველა სკაუტს აწერია პირზე მსოფლიო მასშტაბით.

გერმანელ ნახევარმცველს 17 წლის ასაკში ჰქონდა „შალკეში“ დებიუტი და მას შემდეგ გუნდის ძირითადი ფეხბურთელია.

ის მოქნილ და ტექნიკურ ფეხბურთელად ითვლება. მშვიდად იღებს ბურთს და არასდროს უბრუნებს უკან მცველებს დასახმარებლად.

6. ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენი.

კლუბი: „არსენალი“. ასაკი : 19 წლის. პოზიცია: მარჯვენა გარემარბი.

ჩემბერლენი სტერლინგთან ერთად მომავალში ინგლისის ნაკრების ფლანგის საიმედო მოთამაშეები გახდებიან.

სწრაფი, ბურთს კარგად ფლობს, ფიზიკურად ძლიერია. რა პოზიციაზეც ის თამაშობს, დახმარება არ სჭირდება.

5. ხომეიე ღუჯაჯუ.

კლუბი: „ჩელსი“. ასაკი: 19 წელი. პოზიცია: თავდამსხმელი.

ღუკაკუ გასულ სეზონში „ვესტ ბრომვიჩ ალბიონში“ იყო განათხოვრებული და არასათანადოდ აფასებდნენ.

ის კლუბის შეუცვლელი წევრი და საუკეთესო ბომბარდირია, რომელმაც ბევრი გააოცა თავისი შემტევი თამაშიც.

ის ერთ-ერთია მრავალთაგან, რომელიც მომავალში დიდებული გახდება.

4. ვიქტორ ფიშერი.

კლუბი: „აიაქსი“. ასაკი : 18 წლის. პოზიცია: თავდამსხმელი.

ვიქტორის პოტენციალმა უკვე დიდი ხანია იფეთქა „აიაქსის“ გულშემატკივარში. ამ სეზონში მან უკვე დაამტკიცა, რომ ღირსია ფანების სიყვარულის.

დანიელი ფორვარდი შესანიშნავად ასპარეზობს შეტევაში. მან უკვე მოახერხა 10 გოლის გატანა კლუბის მაისურით სხვადასხვა ჩემპიონატში.

3. მარკინოსი.

კლუბი: „რომა“. ასაკი: 18 წლის. პოზიცია: ცენტრალური მცველი.

მარკინოსი არსაიდან მოვიდა და ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი მცველი გახდა ევროპაში.

ბრაზილიელი თინეიჯერი რეგულარული სტუმრის რანგში ჩავიდა რომში, ამ სეზონზე და ლეონარდო კასტანთან ერთად შესანიშნავ დუეტს ქმნის.

2. ადამ მახერი.

კლუბი: „ალკმაარი“. ასაკი : 19 წლის. პოზიცია: ცენტრალური ნახევარმცველი.

„ალკმაარის“ ირგვლივ ატეხილი ხმაური გენიოს ნახევარმცველთან დაკავშირებით მართალია.

ჰოლანდიელი მსუბუქ სტილში თამაშობს „გახსნილ“ ფეხბურთს. ის ბურთთან თავს მშვიდად გრძნობს და ყოველთვის ეძებს შესაძლებლობას შედეგიანად დაასრულოს გადაცემა. ის მოედანზე ყველა სეგმენტს ყურადღებას აქცევს.

1. რაფაელ ვარანი.

კლუბი: „რეალი“. ასაკი: 19 წლის. პოზიცია: ცენტრალური მცველი.

საუკეთესო ოცეულის პირველი ადგილი მადრიდის „რეალის“ ცენტრალურმა მცველმა რაფაელ ვარანმა დაიკავა, რომელმაც ერთ წელში დაიმკვიდრა ადგილი ლა ლიგაში.

ჟოზე მოურინიომ ის რამდენიმე მატჩში გამოსცადა და შემდეგ ისეთი მატჩებიც ანდო, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი იყო გუნდისთვის. ვარანმა მწვრთნელის იმედები გაამართლა.

მას ახლახან ჰქონდა საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებში დებიუტი, თანაც საქართველოსთან მატჩში და დაამტკიცა, რომ ღირსია „მამლების“ მაისურის ტარების. მას შეუძლია სახიფათო პასი გააკეთოს მეტოქის კართან უკანასკნელ მომენტში.

ის ამ ეტაპზე მსოფლიო ფეხბურთში ყველაზე ნიჭიერი ფეხბურთელია.

შხამიანი წერილი ობამასაც გაუგზავნეს

აშშ-ის პრეზიდენტის დაცვის საიდუმლო სამსახურმა პრეზიდენტის მისამართით გაგზავნილ წერილში შხამი აღმოაჩინა. სააგენტო „როიტერის“ ინფორმაციით, ეს წერილი ძალიან ჰგავს შხამიან წერილებს, რომლებიც ნიუ იორკის მერს მაიკლ ბლუმბერგსა და „უკანონო იარაღის წინააღმდეგ“ მოქმედი ორგანიზაციის დირექტორს გაუგზავნეს.

საიდუმლო სამსახურის წარმომადგენლის თქმით, წერილი გამოძიების ფედერალურ ბიუროს გადაეცა.

შეგახსენებთ, რომ ნიუ იორკის მერ მაიკლ ბლუმბერგს და „უკანონო იარაღის წინააღმდეგ“ მოქმედი ორგანიზაციის დირექტორს უცნობმა ძლიერმოქმედი შხამიანი წერილი გუშინ გაუგზავნა.

წერილში ნიუ იორკის მერს იარაღის ტარებასთან დაკავშირებით ბოლოდროინდელი განცხადებების გამო ემუქრებოდნენ. საქმეს ნიუ იორკის პოლიცია და „ეფ-ბი-აის“ ანტიტერორისტული დანაყოფი იძიებს.

ДИД БРИТАНЕТОШИ МУСЛИМАНТА РИЦХВИ ИЗРДЕБА

აღმოსავლეთ ლონდონში, წმინდა გიორგის ეკლესიაში, რომელიც მე-18 საუკუნეშია აშენებული და 1 200 მრევლზეა გათვლილი, საკვირაო წირვას 12 ადამიანი ესწრება.

ამავე დროს, გვერდით ქუჩაზე, მეჩეთთან, სხვა პრობლემაა – 100 ადამიანზე გათვლილი შენობა პარასკევის წირვის დროს გადავსებულია, უფრო დიდი რაოდენობა მუსლიმანებისა შენობის გვერდით, ქუჩაში ლოცულობს.

სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობითა და ამ ფოტოების მიხედვით, სტატიის ავტორები აკეთებენ დასკვნას: შესაძლოა, ინგლისში ქრისტიანობა – წარსულის, ხოლო ისლამი მომავლის რელიგიად იქცეს. ამასთან, მუსლიმანთა ნახევარზე მეტი 25 წელზე ახალგაზრდაა, ხოლო ქრისტიანთა მეოთხედი 80 წელსაა მიღწეული.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ 20 წლის შემდეგ დიდ ბრიტანეთში მუსლიმანთა რაოდენობა ქრისტიანთა რაოდენობას გადააჭარბებს.

61,1 მილიონიანი მოსახლეობით (2009 წლის აღწერით), სამეფო მესამე ქვეყანაა ევროკავშირში. ძირითადი მკვიდრნი არიან ინგლისელები (81,5%), შოტლანდიელები (9,6%), ირლანდიელები (2,4%), უელსელები (1,9%) და ჩრდილოეთ ირლანდიელები (1,8%). აქ ცხოვრობს ასევე 4 მლნ-ზე მეტი უცხოელი, რომლებიც ძირითადად ჩამოვიდნენ თანამეგობრობის ქვეყნებიდან.

გაერთიანებული სამეფო ურბანიზაციის სამაგალითო ქვეყანაა. მოსახლეობის 91% ცხოვრობს ქალაქში. მრავალფეროვანია მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობა.

შენგენის ქვეყნებმა საზღვრების დახურვის წესი შეათანხმეს

ბრიუსელში განსაკუთრებულ შემთხვევებში შენგენის ზონაში სასაზღვრო კონტროლის დროებით შემოღების წესები შეათანხმეს.

ახალი შეთანხმება უკანონო სასაზღვრო კონტროლის თავიდან ასაცილებლად დაუგეგმავ შემოწმებასაც ითვალისწინებს.

შენგენის შეთანხმება ევროპის 26 ქვეყნის მოქალაქეებს საზღვრების თავისუფლად გადაკვეთის შესაძლებლობას აძლევს. შეთანხმებაში შეტანილ შესწორებას, რომელიც ევროპის კომისიამ, ევროპარლამენტმა და წევრი ქვეყნების მთავრობებმა შეათანხმეს, ევროპის პარლამენტში ივნისში ან ივლისში განიხილავენ.

შეთანხმებაში საუბარია, თუ რა შემთხვევებშია შესაძლებელი, შენგენის წევრი ქვეყნების უსაფრთხოებიდან გამომდინარე, სასაზღვრო კონტროლის ზომების დროებით შემოღება. ტერორისტული თავდასხმების შემთხვევაში სასაზღვრო კონტროლის შემოღება ათი დღიდან ორ თვემდე იქნება შესაძლებელი.

შენგენის ზონაში შედის ევროპის 26 სახელმწიფო, რომლებმაც 1985 წელს ქალაქ შენგენში (ლუქსემბურგი) ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას. შენგენის ზონა ჰგავს ერთგვარ სახელმწიფოს, რომელიც შეიქმნა საერთაშორისო ტურისტულ ზონისათვის, რომლის გარე საზღვრები მკაცრად კონტროლდება, ხოლო შიგნით საპასპორტო შემოწმება არ ხორციელდება.

შენგენის ხელშეკრულებამ დაადგინა რომ შიდა, სახელმწიფოებს შორის საზღვრები გაუქმებულიყო. ხოლო გარე საზღვრები გამაგრებულიყო. ასევე ქვეყნები ვალდებულნი არიან, ერთიანი პოლიტიკა შეიმუშავონ მიგრანტების მიმართ, რაც მოითხოვს მონაცემთა საერთო ბაზისა და საერთო საპოლიციო-სასამართლო სისტემის შექმნას.

მოამზადა

გერა მამულაშვილმა

ყირგიზეთის პრეზიდენტმა ქვეყნის ერთ-ერთ ოლქში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა

ყირგიზეთის პრეზიდენტმა ქვეყნის ისი-კულის ოლქის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. ამის შესახებ ბიბისი იუწყება. გამოცემის ინფორმაციით, ოლქის მცხოვრები 1000-მდე ადამიანი ოქროს გადამამუშავებელ ქარხანაში შეიჭრა. დემონსტრანტები ქვეყნის ხელისუფლებისგან კანადური „სენტერა ქოლდის“ მფლობელობაში არსებული ოქროსა და ვერცხლის მომპოვებელი საწარმო „კუმტორის“ ნაციონალიზაციას მოითხოვენ.

პოლიციამ მათი შენობიდან გამოყვანა სცადა, რა დროსაც დემონსტრანტებსა და სამართალდამცველებს შორის შეტაკება მოხდა. ინციდენტის შედეგად პოლიციამ 92 ადამიანი დააკავა, თუმცა უკმაყოფილო დემონსტრანტები ყირგიზეთის სხვა ოლქებშიც გამოვიდნენ ქუჩებში. სამართალდამცავებმა მათი დაშლა რეზინის ტყვიებითა და ცრემლსადენი გაზით სცადეს, თუმცა საპასუხოდ ქვები მიიღეს. დაშავებულია 30 ადამიანი.

„კუმტორი“ ერთ-ერთი ყველაზე მაღალმთიანი საბადოა მსოფლიოში. კომპანიის აქციების 100 პროცენტი ოქროს მომპოვებელ კანადურ კომპანიას ეკუთვნის. კომპანიას ყირგიზეთის მშპ-ს 12%-ს უზრუნველყოფს.

